სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 25 ივნისი 2003 №116 (1887) | ფასი 50 თეთრი

ბესამე მუჩო დამთავრდა



რეალში ბოღმა თუსთუსებს



შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, მადრიდის „რეალის“ აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეზე ითქმის. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე მისი დათხოვნის მიზეზებზე რომ ილაპარაკა, თავის გასამართლებლად ეს თქვა: „დელ ბოსკემ თავისი შესაძლებლობები ამოწურა, წვრთნის მისეული მეთოდები მოძველდა და ამიტომაც მასთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ვისურვეთ“. პერესმა იქვე დასძინა, შეიძლება, ეს გადაწყვეტილება ძალზე მკაცრად მოგეჩვენოთ და უმადურობაც დაგვწამოთ, მაგრამ „რეალისთვის“ ასე სჯობიაო.

სენიორ ფლორენტინო ამას რომ ამბობდა, დელ ბოსკესა და მასავით მოძულებული ფერნანდო იეროს გამოსასარჩლებლად გუნდის საწვრთნელ ცენტრს მადრიდული ინჩასობა მისდგომოდა და „სიუდად დეპორტივოს“ გალავანი ასეთი წარწერებით ააჭრელა: „ფლორენტინო, ეს შენი საქმე არაა!“, „ვისენტე, ჩვენ შენ გვიყვარხარ!“.

პერესი კი პრესკონფერენციაზე თავისას განაგრძობდა. დელ ბოსკეზე ლაპარაკს რომ მორჩა, მის სავარაუდო შემცვლელზეც თქვა — „რეალს“ ახლა ტაქტიკურად განსწავლული და სტრატეგოსი თაკკაცი სჭირდება, ასეთ მწვრთნელად კი კარლოს კეირუშს ვიცნობო. ეს ის კეირუშია, ლუიმ ფიგუს აღმოჩენით რომ დაიტრაბახებს, ერთ დროს პორტუგალიის ნაკრებიც გაუწვრთნია და ამჟამად ალექს ფერგიუსონს „მანჩესტერში“ თანაშემწედ უდგას.

ამბობენ, კეირუშს პერესთან სიტყვა ლუიმ ფიგუმაც შეაწიაო.



უიმბლდონს წუნი და წუნუნი აკაკდრეს

უიმბლდონმა მეორე დღე უსენსაციოდ დააღამა, პუბლიკამაც საგრძნობლად მოიწყინა. შარშანდელი ჩემპიონის ლეიტონ ჰიუიტის კრახის შემდეგ რამდენიმე წვრილმანი განთესილის გავარდნა, აბა, რა ბედენაა. ვერც მეშვიდე ნომრად განთესილი გილერმო კორიას მარცხი ყვირის — კორია ხომ მეთიხნარე გახლავთ და არც არავინ გაიკვირვა, როცა მომცრო არგენტინელს უიმბლდონის ბალახზე ფეხი დაუცდა.

სამაგიეროდ, პირველი მეტოქეები დაჩოგნეს ბობოლა ვაჟებმა აგასიმ, ფერერომ, ჰენმანმა და მათ მიჰყვნენ სახელიანი ქალები სერენა, კაპრიატი და ენენი. ცოტა გაუჭირდა ანდრე აგასის. 33 წლის ხოტორა ამერიკელი მავან ჯიმი დელგადოსთან მესამე სეტში შეფერხდა, მაგრამ მერე ხერხი და გამოცდილება მოიხმარა და თავისას მიაღწია.

სენსაცია აგვიანებს, მაგრამ ფარდებს მიღმა ამბები ხდება, ბევრს დაუფრთხობს ძილს. ჩოგბურთელები უიმბლდონის ორგანიზატორებს საპრიზოს გაზრდას სთხოვენ, თუ არა, მომავალ წელს ბოიკოტით იმუქრებიან. საპროტესტო ტალღამ ვერ ჩაითრია ანდრე აგასი, ის საკმაოდ ბებერია დებოშისთვის, მაგრამ აჯანყებულები უიმისოდაც ბევრნი არიან, ასე, 120.



REUTERS ლონდონიდან

ბებერი ანდრე აგასი მოჯანყეებში არ გაერია

ბადრი ჯეიდლაძის ფოტო

აქვსენტი გილაური

გორში აგენტებზე მუშაობენ

გორის „დილამ“ მეთოთხმეტე ჩემპიონატი მისთვის სარეკორდო, მეშვიდე ადგილზე დასრულა და რადგანაც კლუბის ფინანსური სიდუხჭირე კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა, შიდაქართლელთა ამბიციებმაც იმატა.

„დილას“ თავკაცმა შეგირდები 20 ივნისს, თითქმის სამკვირიანი არდაგეგების შემდეგ შეკრიბა და საახალსეზონოდ მზადებაც დაიწყო. სადღეისოდ გორელები თავიანთ ბაზაზე ემზადებიან, 3 ივლისიდან კი ორი კვირით ბაკურიანში გაემგზავრებიან შეკრებაზე.

მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „დილა“ იჯარის წესით გადაბირებულმა რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. ფორვარდი მუშკუდიანი სადღეისოდ „ტორპედოში“, სოსო ფრუიძის მითითებით ვარჯიშობს, ხოლო რკინიგზელები — აქვსენტი გილაური და დათო მორჩილაძე ისევ „ლოკომოტივს“ დაუბრუნდნენ.

დღე-დღეზე უნდა გაირკვეს მეკარე სომხიშვილის, მცველების — ლაცაბიძისა და ბალაშვილის, შუახაზელების — ახალაძისა და ჯობაძის, ასევე ფორვარდ კიდარაშვილის „დილაში“ გაწევრიანების ამბავი. ახალაძის და ჯობაძის გარდა, ყველა ზემოთ ნახსენები მობურთალი რადაკით თბილისურ „ლოკომოტივთან“ არის კავშირში. ზოგი კლუბმა ნებაყოფლობით გაანათხოვრა, ზოგიც რკინიგზელმა თავკაცებმა შერისხეს. თუმც ისიც ფაქტია, რომ ნაწილს „ლოკომოტივთან“ ხელშეკრულების ვადა ამოწურა და თავისუფალ აგენტობამდე აღარაფერი აკლია.

ხორგუაშვილის თქმით, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ „დილას“ დაუბრუნდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს ახალგაზრდული გუნდის ყოფილი შუახაზელი გიორგი რევაზიშვილი, რომელმაც საზარდულის ტრავმა საბოლოოდ მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოიშუშა. თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურელი გადმოვიბირეთ, მაშინ მეთხუთმეტე ჩემპიონატში ზეექსეულში მოხვედრა არ გაგვიჭირდებაო, ეიმედებათ გორელ ქომაგებს.

მამუკა კვანტალიანი

თბილისოგა ქოგულეთში

ორსახელიანი „მერანი-ოლიმპის“ მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ნაღვაწი საბოლოოდ ისტორიამ ჩაიბარა. სამომავალსეზონოდ ჯიქიელთა გუნდს თბილისის „თბილისი“ ერქმევა. ასეთია კლუბის თავკაცთა გადაწყვეტილება, რისი დამადასტურებელი საბუთებიც ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მიიღო.

„თბილისი“ თემურ ლორთქიფანიძის თავკაცობით ორ კვირაზე მეტია, საახალსეზონოდ ემზადება. დღეიდან კი ჯიქიელთა 24-კაციანი გუნდი ქობულეთს გაემგზავრა ათდღიან შეკრებაზე. „თბილისი“ ქობულეთში სასტუმრო „ჰასანაში“ დაბინავდება, დღეში ორჯერ ივარჯიშებს და რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც ითამაშებს.

ლორთქიფანიძის გუნდში არ არიან ვეტერანი კაპიტანი გოგიჩაიშვილი, ნახევარმცველი მალაზონია და მცველი ნინუა. ამათ მეთოთხმეტე ჩემპიონატი „მერანი-ოლიმპში“ კი დაასრულეს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით კლუბს გაეყარნენ.

გუნდის თავკაცთა საფეხბურთო გემოვნება ვერ დააკმაყოფილეს და „თბილისის“ მაისურას ვერ მოირგებენ გასინჯვაზე მყოფი მცველები — ებრალიძე და ადუაშვილი. ებრალიძე ქომაგებს ბოლოს თსუ-ში თამაშიდან შეიძლება ახსოვდეთ, ხოლო ადუაშვილი ოთარ გაბელიას „მერანში“ ირიცხებოდა.

ქობულეთურ შეკრებაზე მიდიან მეკარე ივარდავა, მცველი მემარნიშვილი, რომელიც ზაურ ჩუბინიძის „მეტალურგიდან“ შეიძლება გეცნოთ და ნახევარმცველი კოშკაძე.

ქობულეთმოვლილი 24 ფეხბურთელიდან გუნდში, ალბათ, 18 დარჩება. თუ ვინ, ამას შეკრების შემდეგ მწვრთნელები გაარკვევენ. საბოლოოდ კი „თბილისი“ გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ დაკომპლექტდება, სადაც ორკვირიანი წვრთნაა დაგეგმილი.

მამუკა კვანტალიანი

ახალი მწვრთნელის მენიუ: წვენი, ხილი და კარაქიანი პური

ცაკარიასმა კვარაცხელია და სირაძე დუისბურგში დაპატიჟა

„ლოკომოტივის“ ახალდანიშნულმა თავკაცმა რევაზ არველაძემ თანაშემწე გორა ტყებუჩავასთან ერთად რკინიგზელებს გუშინ პირველი ვარჯიში ჩაუტარა. ვაკეში არ გამოჩენილა ნიკა ჩხეიძე, მაგრამ ის სამეულის განუყრელი წევრია და საქმეს დღეიდან შეუდგება.

11 საათზე „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე რევაზ არველაძემ შეგრდები შემოიკრიბა და აუხსნა, რას ითხოვდა თითოეულისგან. „მე მუდამ თქვენს ინტერესებს დავიცავ, მაგრამ გუნდის ღალატსაც ვერავის ვაპატიებ“ — ამ სიტყვების შემდეგ არველაძემ ფეხბურთელებს ის მოთხოვნები გააცნო, რომლის მიხედვითაც „ლოკომოტივი“ იცხოვრებს.

მერე წვრთნა დაიწყო. არველაძემ შეგროვილი ფეხბურთელები ორად გაყო, ძირითად გუნდად და გასასინჯ მოთამაშეებად. პირველი ნაწილი ტებუჩავას ჩაბარა, მეორეს კი თავად ადევნებდა თვალს, თან კლუბის ხელმძღვანელებსაც ესაუბრებოდა.

ძირითად გუნდს ტყებუჩავამ სირბილით სიქა გააძრო, მათ ბურთთან შეხება არ ჰქონიათ. თითქმის ერთსაათიან სირბილს რომ მორჩნენ, გაწელვითი ვარჯიშებით მათი წვრთნაც დასრულდა.

გასასინჯ ფეხბურთელებს არველაძემ ბურთი გადაუგდო და ცოტა ხნით ორკარაც ათამაშა, მერე კი საბოლოო ვერდიქტიც გამოაცხადა — ხვალიდან „ლოკომოტივზე“ მხოლოდ ძირითადი გუნდი ივარჯიშებს, დანარჩენები წვრთნას ფარმკლუბთან გაგრძელებენ, საინტერესო ფეხბურთელებს იქ დავაკვირდებით და არ არის გამორიცხული, ძირითად გუნდში გადმოვიყვანოთო.

საქმეს რომ მორჩა, არველაძე გუნდის ექიმებს დაელაპარაკა, ყველაფერი გამოჰკითხა. თუ ოდესმე ვინმეს რამე აწუხებდა, ჩაინიშნა და მაშინვე მოითხოვა — დატვირთვები ნელ-ნელა გაიზრდება, ამიტომ ვარჯიშზე ფეხბურთელებს წვენები, ხილი და კარაქიანი პური არ უნდა მოაკლდეთო. „ლოკომოტივის“ ტექპერსონალმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და წვრთნაც დასრულდა.



ბადრი ჯეიდლაძის ფოტო

რევაზ არველაძის პირველ ვარჯიშს „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძეც დაესწრო

ფეხბურთელები ნელ-ნელა გასახდელებში მიიმალნენ, თუმც გზადაგზა გიორგი ლომაიას, დავით სირაძეს და გივი კვარაცხელიას ორიოდ სიტყვა მაინც ვათქმევინეთ. ლომაიას თვის ბოლოს კიევში გამგზავრება მტკიცედ გადაუწყვეტია. „დინამო“ გერმანიაში შეკრებაზე უკვე გაემგზავრა, ინგლისურ ვარიანტებზე ფუჭი საუბარი და ცარიელი დაპირებებიც მოსაბეზრებელია, ამიტომ იმ გზას ვირჩევ, სადაც რეალური პერსპექტივები მიჩანსო, გვითხრა გიორგიმ.

უფრო ჩახლართულადაა სირაძის საქმე. ცალკე ივო შუშაკია მისით დაინტერესებული, გუშინწინ საღამოს კი ცაკარიასი შეეხმიანა გერმანიიდან და მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგი“ გელისო. გერმანული კლუბი თურმე კვირის ბოლოს იკრიბება და დათოც იქ უნდა იყოს.

არადა, „დინამო“ ძალიან აქტიურობს, ჩემპიონთა თავკაცები სირაძისთვის გერმანული ვიზის გაკეთებას ლამობენ, რათა რკინიგზელი შუშაკს რუიტში ჩაუყვანონ.

„ლოკომოტივშიც“ ვითარება ელვისებურად იცვლება. ჯერ თითქოს ყაბულს იყენენ, სირაძე ივჯარის წესით „დინამოსთვის“ დაეთმოთ, მერე თქვეს, ფეხბურთელის აღმა-დაღმა წოწიალს აზრი არა აქვს, ამითი ვერც „დინამო“ იხეირებს და ვერც „ლოკომოტივი“, ისევ ის ჯობია, რკინიგზელად დარჩესო. ახლა კიდევ ეს გერმანული ვარიანტი. მოკლედ, სირაძემ თავად არ იცის, რა გზას ეწიოს.

გივი კვარაცხელიამ კი თავად გადაწყვიტა მომავლის საკითხი. ის ცაკარიასის ზარს ელოდა, რასაც ელირსა და კვირის ბოლოს გერმანიაში მიემგზავრება. მასაც „დიუსბურგში“ მოწყობას ჰპირდებიან და ცდაც ხომ ბედის მონახევრეა.

დარჩება თუ არა „ლოკომოტივში“, ჯერჯერობით დავით ჭიჭვეიშვილმაც არ იცის. რაღაც წინადადებები მანაც მიიღო, თუმც საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტია.

სადღეისოდ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ვთქვათ — „ლოკომოტივს“ ჰყავს მწვრთნელი. რევაზ არველაძე თავის თანაშემწეებთან ერთად თანახმაა, რკინიგზელები გაწვრთნას, მაგრამ საკითხავია, ჰყავს არველაძეს გუნდი?

ახალი თავკაცის განკარგულებაში ჯერჯერობით რეალურად მხოლოდ შვიდი ფეხბუთრელია — ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე, როინ ონიანი, მურთაზ ბურნაძე, მიხეილ სოსელია და რომან გოგინაშვილი, ესენი ნამდვილად რკინიგზელები არიან. ალბათ „ლოკომოტივში“ დარჩება ვლადიმერ კაკაშვილი, არავინ იცის, ჩამოვლენ თუ არა ნანა და გალიარდო. რკინიგზელებს მეკარეებიც მოსაძებნი ჰყავთ. ასე რომ, პერსპექტივა არცთუ მომხიბვლელია, თუმც არველაძე მუშაობს და...

მამუკა კვანტალიანი

ანდრეა ბერეზოვსკი (ოფენბახი)



ბადრი ჯეიანაძის ფოტო

აქამდე რევაზ არველაძეს „ლოკომოტივი“ მხოლოდ იმიტომ აინტერესებდა, რომ იქ ახალგაზრდული ნაკრების წევრები ბურთაობდნენ. შეიძლებოდა, მწვრთნელი სალუქვაძის, ორბელაძის, ბურნაძისა და ივარდავას პრობლემებს შეეწუხებინა, თორემ რკინიგზელთა დარად, ჩვენში კიდევ თერთმეტი უმაღლესლიგელი იყო და თითოეულის ყოფას თანაბრად აღიქვამდა.

გუშინწინ „ლოკომოტივის“ ყველა სიხარული თუ პრობლემა რევაზ არველაძის განუყოფელ ნაწილად იქცა. რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცმა მისი დაყოლიება მოახერხა. ორგზის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი, თითოჯერ ბრინჯაოსანი და თასის ფინალისტი, მეტად ხმაურიანი, ამბიციური და სკანდალური გუნდი გასაწვრთნელად ახალ მწვრთნელს ჩააბარეს.

პირველი ვარჯიში, პირველი შთაბეჭდილებები და რკინიგზელთა ახალმა მწვრთნელმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. ეს ნაჩქარევი ინტერვიუც გუშინ შედგა. ფაქტია, ყველაფერში გასარკვევად და ვითარების გასაკონტროლებლად რევაზ არველაძესაც დრო სჭირდება.

რევაზ არველაძე: ლოკომოტივიც, ნაკრებიც და გერმანიაც

— „ლოკომოტივთან“ მიმართებაში არველაძეს ბოლო დროს ხშირად ახსენებდნენ, მაგრამ აკაკი ჩხაიძესთან თქვენმა შეთანხმებამ დაახანა. თავშეკავების მიზეზი რა იყო?

— რკინიგზელთა კლუბში მიმდინარე პროცესებს და გუნდის ყოფას ბოლო დროს მართლაც ყურადღებით ვაკვირდებოდი. წვრთნასაც რამდენჯერმე დავესწარი, არ დავმალავ, „ლოკომოტივში“ ბევრ პრობლემას ვხედავდი და სანამ კლუბის თავკაცისგან მათი აღმოფხვრის გარანტიები არ მივიღე, მანამ თავს ვიკავებდი.

— სადღეისოდ ყველაფერზე შეთანხმდით, ხელმძღვანელებთან გასარკვევი კიდევ რა დარჩა?

— ჯერჯერობით კლუბთან პირადი კონტრაქტი არ გამიფორმებია. ჩვენ ვისაუბრეთ გუნდის სამომავლო პერსპექტივაზე, საერთო პირობებზე, მაგრამ ხელშეკრულება ისევ ხელმოუწერელია. კონტრაქტს აუცილებლად გავაფორმებთ, მეც და ჩემი თანაშემწეებიც და ვეცდებით, მისი ყველა პუნქტი ზედმიწევნით დავიცვათ.

— აშკარაა, თქვენ უპირველესად შედეგს მოგთხოვენ...

— „ლოკომოტივი“ ამბიციური გუნდია. უკვე მერამდენე ჩემპიონატია, სულ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და ასეც გაგრძელდება.

— კი მაგრამ, ამჟამინდელი შემადგენლობით „დინამოს“ კონკურენციის დაძლევა ხომ წარმოუდგენელია?

— ჩვენ კიდევ საკმაო დრო გვაქვს. გუნდი მალე სრულად დაკომპლექტდება. ნანას და გალიარდოს ჩამოსვლაც რეალურია, იმათ ახალი მოთამაშეებიც ამოუდგებიან და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რა გამოვა ამ საქმიდან, მალე გამოჩნდება.

— ლომაია, სირაძე და კვარაცხელია წასვლას რომ ეშურებიან?

— ფეხბურთელების ინტერესები გასათვალისწინებელია. მე ჯერაც არ ვიცი, რა პირობით იყვნენ ეს ფეხბურთელები გუნდში, ამიტომ უმჯობესი იქნება, ჯერ კლუბმა გადაწყვიტოს მათი ბედ-იღბალი და მერე მეც ვიტყვი ჩემსას.

— „დინამომ“ რამდენიმე ფეხბურთელი, ფაქტობრივად, დაითხოვა. რომელიმე მათგანის „ლოკომოტივში“ გამოჩენას ხომ არ უნდა ველოდეთ?

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, თუმც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— ახალგაზრდული ნაკრებისა და „ლოკომოტივის“ ერთდროულად გაწვრთნა პრობლემებს არ შეგიქმნით?

— მე პირიქით მგონია. რკინიგზელთა გაწვრთნით პრაქტიკა მომემატება. თანაც, ფაქტობრივად, ახალგაზრდული გუნდის ყველა კანდიდატს უშუალოდ საქმეში ვნახავ. მათ შეძლებისგვარად აქამდეც ვაკვირდებოდი, მაგრამ არ არის გამოარიცხული, ვინმეს შესაძლებლობები ამიერიდან სხვაგვარად შევაფასო. ამიტომ რკინიგზელთა მწვრთნელობა ახალგაზრდულის გაწვრთნაში ხელს არ შემიშლის.

— „ლოკომოტივში“ დიდი ხნით აპირებთ დარჩენას?

— გადაჭრით ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ყველაფერი საკონტრაქტო პირობებზე იქნება დამოკიდებული. იცით, რომ გერმანიაში საწვრთნელო საქმეს ვეუფლები. ისიც არ მინდა, სწავლაში ხელი შემეშალოს და დრო გამიცდეს, უმჯობესია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

— საკლუბო მწვრთნელის გამოცდილება თავის დროზე „დინამოში“ შეიძინეთ. იქ უფრო მეტი პრობლემები დაგხვდათ თუ „ლოკომოტივში“?

— „დინამოში“ ფაქტობრივად დებიუტანტი ვიყავი, თანაც ფინანსურად გუნდს ძლიერ უჭირდა. „ლოკომოტივი“ კი წელგამართული კლუბია და პირობებიც გაცილებით უკეთესი. რაც შეეხება შემსრულებლებს, კარგი ფეხბურთელები მაშინაც იყვნენ გუნდში და ახლაც მყავს.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი ჯეიანაძის ფოტო

რევაზ არველაძემ ახალი შეგირდები გაიცნო



ბურაბ დოლიძეების ფოტო

რამაზ სვანაძე



ბადრი ჯეიანაძის ფოტო

ალექსანდრე ბურნაძე

იპოდრომიდან ლაგოდეხში

სიონმა თურქეთისკენ გაიხედა

საუკეთესოთასო სამზადისს შეუდგა ბოლნისური „სიონი“. თემურ მახარაძემ ორშაბათს შეკრიბა გუნდი თბილისში. როგორც იცით, ბოლნისურ სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ „სიონმა“ წვრთნა-ვარჯიში იპოდრომზე დაიწყო. თბილისში მახარაძის გუნდი თვის ბოლომდე დაჰყოფს, პირველ ივლისს კი ლაგოდეხში გაემგზავრება ორი კვირით.

ლაგოდეხურ შეკრებაზე თემურ მახარაძე ხუთ ისეთ ფეხბურთელს ვერ წაიყვანს, რომელთაც გასული სეზონი „სიონში“ ჩაამთავრეს. გუნდიდან წავიდნენ ბათიაშვილი, ბურნაძე, კოშკაძე, გვასალია და სვანაძე. კოშკაძე „თბილისს“ დაუბრუნდა, სვანაძე „კოლხეთმა“ დაიბრუნა, ბურნაძეს უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება, ბათიაშვილისა და გვასალიას ბედი კი ჯერაც გაურკვეველია.

გუშინ „სიონს“ ოფიციალური წერილი აახლა თბილისურმა „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებს ორი დავითის — დათვაძის და ბაქრაძის გადაბირება მონდომებიათ. ამ ორ ფეხბურთელს აქამდეც უთამაშია „ლოკომოტივში“ და არ არის გამორიცხული, კვლავაც იქ აღმოჩნდეს, მაგრამ საამისოდ „სიონის“ მესვეურთა თანხმობაა საჭირო. ბოლნისელები კი არ ჩქარობენ ისედაც შეთხელებული გუნდის შემცირებას, მით უფრო, რომ წასულთა შემცვლელები ჯერაც არ ჰყავთ შეგულებული. არადა, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკურ „ჰუხოვთან“ წარმატების მისაღწევად „სიონს“ სულ ცოტა, ხუთი გამოცდილი ფეხბურთელის დამატება მოუწევს, ამას ბოლნისელებიც არ მალავენ და გაფაცცებით ადევნებენ თვალს ქართულ სატრანსფერო ბაზარს.

ქვემოქართლელებს სლოვაკური ბარიერის დაძლევა აქვთ გადაწყვეტილი და საამისოდ უცხოურ შეკრებასაც არ ერიდებიან. ივლისის ბოლოს თურქეთში საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს და თუკი „სიონის“ თავკაცებმა გეგმა არ შეცვალეს, გუნდს ანთალიაში გაამგზავრებენ ათი დღით. მერე კი ჩემპიონატიც დაიწყება და ბოლნისელთა მარიფათიც გამოჩნდება.

პაატა კვანტალიანი

მსაჯები ათეულებად დაახარისხეს

19 ივნისს რომ მსაჯების დღე იყო, უკვე გაუწყეთ. ქართველმა თემიდელებმა თავიანთი დღეობა სათანადოდ აღნიშნეს — ჯერ ფეხბურთში გაეჯიბრნენ ერთმანეთს და მერე ბანკეტიც გადაიხადეს. ახლა ანატოლი მილჩენკოს სამწყსო მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის ემზადება, თუმც მანამდე გასული სეზონის შედეგებიც შეჯამდა. ერთი სიტყვით, საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეც მერაბ ჭელიძეა, ახლახან მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ათ-ათი საუკეთესო არბიტრი და თანამსაჯი გამოავლინა. მსაჯებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სამახსოვრო პრიზებიც გადასცა.

აქვე იმ ოც რჩეულ მსაჯთა ვინაობას გაგაცნობთ:

არბიტრები *— სერგო კვარაცხელია, მერაბ მალაღურაძე, ლევან ფანიაშვილი, ალექსანდრე შილაკაძე, ავთანდილ შალამბერიძე, ალექსანდრე მეშკოვი, დავით სანაია, კახაბერ მესხი, ავთანდილ ორდინიძე, ზურაბ ანიაშვილი;*

თანამსაჯები *— ლევან მიქელაძე, გურამ ჩიგოგიძე, ავთანდილ სამხარაძე, მამუკა ელიკაშვილი, კობა გაბრიაძე, ზაზა მენთეშაშვილი, ლაშა სილავავა, ზურაბ ჯვარიძე, ნუგზარ რუსიშვილი, გოჩა ცირდავა.*

11 ივლისს ქართველი მსაჯები საახალსეზონო ნორმატივებს ჩააბარებენ, მეორე დღეს კი ტრადიციულ ბორჯომულ შეკრებაზე წავლენ.

ძახა შალამბერიძე

ქინქლაძე და ივნისი ლოდინისთვე

ბადრი ჯეფლაშის ფოტო

ინგლისის პირველი დივიზიონის „დერბიმ“ ქართველ ნახევარმცველ გიორგი ქინქლაძეს გასრულებული კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

დერბელები ქინქლაძესთან მოლაპარაკებას სეზონის დამთავრებისთანავე შეუდგნენ. ჩვენიანმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა და საბოლოო გადაწყვეტილება ორიოდ დღის წინ მიიღო — ის „დერბიდან“ წავიდა. წავიდა, მაგრამ სად? დღესდღეობით ამ კითხვაზე პასუხი არც თავად ფეხბურთელს აქვს. ქინქლაძეს, გეხსომებათ, „ლივერპულში“ გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ირლანდია — საქართველოს მატჩში უთამაშებლობამ, რომელსაც დაინტერესებული კლუბის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ფეხბურთელისვე თქმით, ტრანსფერი შეაფერხა. ლივერპულელთა გარდა ქინქლაძეს სხვა კლუბებისგან წინადადება ჯერ არ მიულია, თუმც კი მისი საქმე რამდენიმე აგენტის ხელშია და ეიმედება, რომ ახალ კლუბს მალე გამონახავს.

გიო ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსითაა, მისი გადაბირება უფასოდ, საკომპენსაციო თანხის გარეშეც შეიძლება.

ამჟამად ქინქლაძე ცოლ-შვილთან ერთად იტალიაში, სარდინიაზე ისვენებს და აგენტების სიტყვას ელის. „მომავალი კლუბის ვინაობა ამ თვის ბოლომდე უნდა გაირკვეს, რადგან კლუბების უმეტესობა საახალსეზონო სამზადისს 10 ივლისიდან იწყებს და გუნდისთვისაც უკეთესი იქნება, ახალმა ფეხბურთელმა მოსამზადებელი პერიოდი სრულად გაიაროს“ — გვითხრა ქინქლაძემ.

ᲙᲝᲒᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜ ᲞᲡᲕ-ᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲑᲐ ᲒᲐᲮᲝᲯᲘᲫᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲗ ᲘᲡᲔᲕ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲐᲜ „ᲪᲕᲔᲜᲢᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲐᲜᲐᲪ „ᲠᲝᲖᲔᲜᲓᲐᲚᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲠᲒᲔᲑᲡ. ᲒᲝᲒᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲝᲯᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ. ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲝᲒᲑᲐ ᲒᲐᲮᲝᲯᲘᲫᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ �გᲣᲜᲓᲡ 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲔᲑᲐ

ᲒᲝᲒᲑᲐ ᲒᲐᲮᲝᲯᲘᲫᲔ: ტვენტე ან როზენდალი



ბადრი ჯეფლაშის ფოტო

— აგენტს დღეს ვესაუბრე და გადავწყვიტე, კარიერა ან „ტვენტეში“ გავაგრძელო, ანაც „როზენდალში“. ჰოლანდიაში პსვ-ს, „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ გარდა ჩემთვის ყველა კლუბი ერთია, ერთნაირი პირობებით. დაინტერესებულ გუნდებს თანხმობა უკვე შევუთვალელაპარაკია ერთწლიან კონტრაქტზე, რომელსაც ხვალ-ზეგ მოვაწერ ხელს. კონტრაქტი გასაფორმებლად, შესაძლოა, თბილისშივე გამომიგზავნონ. ორივე კლუბი ახალი სეზონისთვის მზადებას 7 ივლისს იწყებს. მოკლედ, ჩემს მომავალ გუნდად „ტვენტე“ ან „როზენდალი“ ჩათვალეთ. ახლა ვფიქრობ, საით წავიდე. მათ შორის დიდი განსხვავება, გითხარით, არაა. ამას წინათ მოსკოვის ცეესკადან დამიკავშირდნენ და ჰოლანდიელებზე გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზეს, მაგრამ რუსებს უარი ვუთხარი. ამ ეტაპზე რუსეთს ისევ ჰოლანდია ვამჯობინე, ერთ სეზონს იქ ვითამაშებ და მერე ვნახოთ, ვიმედოვნებ, თამაშს უკეთეს საფეხბურთო ქვეყანაში გავაგრძელებ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ გოგა გახოკიძეს რუსეთში უკვე უთამაშია. ის ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელი იყო, საიდანაც პსვ-ში აღმოჩნდა და იქ ხუთი სეზონი დაჰყო. ექვსი თვით გოგა ისრაელში, თელ ავივის „მაკაბიშიც“ იყო განათხოვრებული. ახლა გახოკიძე თავისუფალი ფეხბურთელია. პსვ-სთან კონტრაქტი მას ერთი თვის წინ დაუმთავრდა.

ᲙᲝᲒᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ. „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲪ ᲨᲔᲔᲜᲘᲐ. ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐᲪ.

ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ „ᲨᲘᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲓᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲓᲐ 58-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ �გᲝᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲝᲚᲐᲓ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲡ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲛᲔᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ, „ᲨᲘᲜᲘᲙᲗᲐᲜ“ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲣᲚᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲚᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲬᲐᲐᲓᲒᲐ ᲝᲠᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲒᲣᲜᲓᲡ — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ.

ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲒᲐᲣᲮᲓᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲛᲐ �გᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲣᲨᲘᲜᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘᲧᲝ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲨᲔᲕᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲗ

რეხვიაშვილს ომი უნდა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲗᲐᲕᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲐᲮᲣᲜᲐ

— საბედნიეროდ, ივანოვი გუნდში დარჩა. მისი წასვლა მართლაც უარყოფითად იმოქმედებდა ფეხბურთელებზე და გუნდის მდგომარეობა თითქმის უიმედო გახდებოდა. ორშაბათს მწვრთნელმა ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება. ივანოვი წყობიდან გამოვიდა „შინიკთან“ თამაშისას და ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება. არადა, ისეთი პიროვნება არ არის, ერთი წაგებით გულგატეხილმა შუა გზაზე მიატოვოს საქმე. დარწმუნებული ვარ, ვალენტინ კოზმიჩი რომ წასულიყო, „ტორპედო-მეტალურგს“ პრემიერლიგიდან გავარდნა არ ასცდებოდა. ივანოვს განსაკუთრებული, თბილი და ამავე დროს საქმიანი დამოკიდებულება აქვს ფეხბურთელებთან და მასთან ერთად საქმის კეთება ყველას გვსიამოვნებს. ყოველივე გუნდის მესვეურებმაც კარგად იცოდნენ და ამიტომაც დაიყოლიეს ივანოვი დარჩენაზე.

— „შინიკთან“ მატჩისას რამ გამოიყვანა წყობიდან ივანოვი?

— მისი გაცოფების მიზეზი ჩვენი გუნდის უკანა მცველი კაზაკოვი გახლდათ. ფაქტობრივად, მისი შეცდომების გამო წავაგეთ თამაში. ოციოდე წუთი რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, ჯარიმას ვარტყამდით და კაზაკოვმა მოედნის ცენტრში მოითხოვა ბურთი, მერე კი დიდი სისულელე ჩაიდინა — „მატაობა“ დაიწყო და მეტოქე ჩვენ მეკარეს შეატოვა პირისპირ. კარპენკოს გატანა არ გასჭირვებია, საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე მანვე კვლავაც კაზაკოვის უხეში შეცდომით ისარგებლა და უქულოდ დაგვტოვა. სწორედ მაშინ უმტყუნა ნერვებმა ივანოვს და სათადარიგოთა სკამი დატოვა. არადა, მახსოვს, ამ მატჩამდე ოთხი დღით ადრე დაიწყო ივანოვმა კაზაკოვის მომზადება, სულ აფრთხილებდა, ყურადღებით იყავი, შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებულიო. როგორც ჩანს, გული ცუდს უგრძნობდა.

— შენი გოლი მართლაც ეფექტური იყო, თითქოს არც გაგხარებია. გაუნძრევლად იწექი ბალახში თავჩარგული. რა იყო ამის მიზეზი?

— ემოცია და მეტი არაფერი. „შინიკთან“ გამარჯვება ჰაერივით გვჭირდებოდა და უზომოდ ბედნიერი ვიყავი გოლის გატანით, თანაც ეს ხომ ჩემი პირველი გოლი იყო ახალი გუნდის შემადგენლობაში და სიხარულისგან თავის აწევაც ვერ შევძელი.

— 30 ივნისს რუსეთის ნაკრებთან მოგიწევს თამაში...

— გაზაევის გუნდი პრემიერლიგაში მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრებს ხვდება. ოფიციალური მოწვევა მომივიდა და ძალიან გამიხარდა. საგანგებოდ ვემზადები ამ მატჩისთვის. გულმოკლული დავრჩი, რუსეთთან თბილისურ შეხვედრაში რომ ვერ ვითამაშე ტრავმის გამო. ახლა შევეცდები, დანაკლისის ანაზღაურებას, რუსებს გულდაგულ ვეომები.

ᲙᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

B ჯგუფი. III ტური

შენოლ გიუნეშის ბიჭებმა თურქეთმა

ბრაზილია 2:2 თურქეთი

1:0 ადრიანო (23), 1:1 კარადენიზი (53), 1:2 ოკან ილმაზი (81), 2:2 ალექსი (90)

ბრაზილია: დიდა, ჟუანი, ლუსიო, ჟილბერტო (კლებერი 72), მაურინიო, რიკარდინიო (ალექსი 64), ემერსონი, კლებერსონი, რონალდინიო, ადრიანო, ილანი (გილი 62)

თურქეთი: რუშთუ, ფათიჰი, ალფაი, ბიულენთი, იბრაჰიმ უზულმეზი, კარადენიზი, სელზუკი, ერგუნი (იბრაჰიმ ტორამანი 73), ჯოლქანი (ოკან ილმაზი 36; სერქანი 87), ბაშთურქი, თუნჩაი

გაძღვება: რონალდინიო (90)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

29 170 მაყურებელი

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ნაწვნევი ორი მარცხის გამო თურქებს რევანში სწყუროდათ. შენოლ გიუნეში, ნაკრები და სრულიად თურქეთი ამ მატჩს ელოდა. ოსმალომ ბრაზილია მაინც ვერ დაამარცხა, მაგრამ პენტაკამპეონები კონფედერაციის თასიდან კი დაითხოვა.

სენტ ეტიენში სტადიონზე შეკრებილმა 30-ათასამდე ქომაგმა თვალი სააამო ფეხბურთით გააძღო. კარლოს ალბერტო პარეირამ შემადგენლობა გადაასხვაფერა. ძირითად თერთმეტეულში მაურინიო და ილანი გაამწესა, რომლებიც წინა ორ მატჩში სათადარიგოები იყვნენ.

მოედანზე, რაღა თქმა უნდა, რონალდინიო დანავარდობდა. მის თამაშს თავად თურქულმა პრესამ საოცარი უწოდა. სწორედ ამ საოცრებისა და დანარჩენი ბრაზილიელების ლაღი თამაშით თურქეთის ნაკრები პირველ ტაიმში დაიკარგა.

მსოფლიოს ჩემპიონთა შეტევების მორევმა ოსმალონი ისე ჩაიხვია, რომ მცველ-მეკარიანად კარის ხაზზეღა იგერიებდნენ ბურთებს.

მატჩის დასაწყისშივე 22 წლის ილანის დარტყმული ძელმა უკუაგდო. მერე ბეჭგანიერმა ადრიანომ სცადა მეტოქის დაწიოკება. დაჰკრა კიდეც და ბრაზილიელებს საზეიმოდ შემართული ხელები ბიულენთმა ჩამოაშვებინა. თურქთა კაპიტანი კარში ბალახივით „ამოიზარდა“ და ბურთი ბოლო წამსღა გამოაძრო.

შენოლ გიუნეშის ბიჭები შესვენებამდე გონს ვერ მოეგნენ. ტაიმის შუაწელში ისინი ადრიანოს გოლმა კიდევ უფრო არია. „პარმას“ ფორვარდმა მცველები ხელოვნური თამაშგარის შექმნისას გამოიჭირა და რუშთუსთან პირისპირ გასულმა მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო, 1:0 — ეს ბრაზილიელთა შეტევების ლოგიკური დასასრული იყო.

ტაიმის ბოლომდე პენტაკამპეონებმა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს, რისთვისაც მეორე ნახევარში დაისაჯნენ.

კარლოს ალბერტო პარეირას შეგირდები თითქოს გასახდელში შეცვალესო. შესვენების შემდეგ ერთბაშად მინელდნენ, თურქებმა კი პირიქით, ძალიან მოინდომეს.

ოსმალომ მალე გაქვითა. გოკდენიზ კარადენიზმა ადრიანოსავით მცველთა შეცდომით ისარგებლა, დიდასთან პირისპირ გავიდა და პარმელივით გოლი გაიტანა. თურქები იშტაზე მოვიდნენ. ისინი მეტოქის ნახევარს დროებით გაუშინაურდნენ და კარშიც არაერთხელ სახიფაოდ დაჰკრეს.



REUTERS სენტ ეტიენიდან

ალექსის გოლის მერე, ბურთს კარში ბრაზილია-თურქეთი შეჰყვა

ბრაზილიელთა მწვრთნელმა მოედანზე ალექსი და ჟილი შეუშვა, რითაც მატჩის სადავეები კვლავ მოიხელთა და მოწინააღმდეგე მისსავე საჯარიმოში დააბრუნა. რონალდინიომ, ალექსმა და ადრიანომ კვლავ შეამოწმეს რუშთუს მზადყოფნა. ხან მცველნი და ხანაც მეკარე მათ დარტყმულ ბურთებს იგერიებდნენ.

ამასობაში მეოთხმოცე წუთიც დადგა. იერიშებით გართულ მსოფლიოს ჩემპიონებს ზურგი მოუშიშვლდათ, თანაც ისე, რომ დიდას ერთბაშად სამი თურქი პირისპირ შეეჩეხა. ილდირაი ბაშთურქმა ოკან ილმაზს მშვიდად მიაწოდა და მანაც ასევე აუღელვებლად თავისები დააწინაურა.

შეხვედრის ბოლოს ბრაზილიელები ოსმალოს თავზე დაასხდნენ. ვითარება გაცეცხლდა. რუშთუს ცხვირწინ რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა. ალექსმა თერთმეტმეტრიანი მოინდომა, მაგრამ არტისტობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. მანვე ოდნავ მოგვიანებით რონალდინიოს პასით მზაკვრულად ჩაახვია ბურთი კარისკენ და გოჯით ააცილა. ბოლოს მონდომება მაინც დაუფასდა და ანგარიში გაათანაბრა.

კარიდან ბურთის გამოსატანად ბადეში რუშთუ და რონალდინიო შეიბნენ. მეკარე გაჯიუტდა და მეტოქეს არ დაუთმო. კინკლაობისთვის ორივემ მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც ბრაზილიელისთვის მეორე გამოდგა და მოედნიდან მიაბრძანეს. ეს მატჩის ბოლო ეპიზოდი იყო, მარკუს მერკის სასტვენმა მოქიშპენი დააშორიშორა.

შენოლ გიუნეში: „პირველ ტაიმში ამაზრზენად ვითამაშეთ, მეორეში კი მსოფლიოს ჩვენი ნამდვილი ძალა ვაჩვენეთ. ახალწვეულების ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ თავი არ დაზოგეს. ტურნირის დაწყებამდე ნახევარფინალში გასვლას დავუმიზნეთ და სიტყვაც შევასრულეთ“.

შინ დაბრუნებულ კარლოს ალბერტო პარეირას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდუ ტეიშეირა არ გაუბრაზდება, მან წინასწარ საჯაროდ თქვა, თასი თუ ვერ ჩამოიტანეს, დიდად არ ვინერვიულებო.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა დამშვიდობებისას განაცხადა: „ორი განსხვავებული ტაიმი იყო. პირველში ჩვენ მეტოქე ყველაფერში დავჯაბნეთ, მეორეში, როგორც კი გოლი გაგვიტანეს, ვითარება შეიცვალა. ჩემს ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ და ეს არც გამკვირვებია, ყოველ მათგანს ურთულესი სეზონი ჰქონდა. მთავარი ისაა, რომ ახალი ფეხბურთელები გამოვცადე და მათ სანაკრებო ატმოსფერო გავაცანი“.

ლომის ბუნაგს ვინ დაასველებს?

მეფერის დაცვა ჰამფერსივით საიმედოა

აშშ 0:0 კამერუნი

აშშ: ჰოვარდი, ჩერუნდოლო, ბოკანეგრა, არმასი, კალაიფი, კონვეი, ლუისი (ბესლი 81), მარტნო (დონოვანი 55), გიისი, კიროვსკი (სტიუარტი 68), მატისი

კამერუნი: კეკეკ, ფალეი, მეტომო, ნჯანკა, ატუბა, ეპალე, ემანა, ბაოკენი (ჯერემი 82), მუბაგი (ზბამი 74), იდრისუ, ჟობი (ეტოო 74)

მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)

17 000 მაყურებელი

კამერუნის ნაკრები პირველი აფრიკული გუნდია, კონფედერაციის თასის ნახევარფინალში რომ გააღწია. „ლომებმა“ სამივე ჯგუფურ მატჩში ლომურად იბრძოლეს. სულ ორი გოლი გაიტანეს და ორივე შეხვედრის მიწურულს, მათ შორის ერთი თერთმეტმეტრიანით. 270 წუთის მანძილზე კარი მშრალად შეინახეს. ეს ფაქტები მიგვანიშნებს, რომ ვინფრედ შეფერს საკმაოდ ძლიერი, მეომარი და ძნელად დასამარცხებელი გუნდი ჰყავს.

გერმანელ სპეციალისტს ნახევარფინალის საგზური განაღდებული ჰქონდა და ამერიკელებთან ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი დაასვენა.

ერიკ ჯემბა-ჯემბა, მარკ ვივან ფოუ და რიგობერტ სონგი მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილან. ჯერემი ნჯიტაპი და სამუელ ეტოო შეხვედრის ბოლოსღა შევიდნენ სათამაშოდ.

დაახლოებით იგივე ბრიუს არენამაც გააკეთა. ლანდონ დონოვანი და დამარკუს ბესლი მეორე ტაიმში დაახმარა გუნდს.

ლიონში საკმაოდ ცხელოდა. „სტად ჟერლანზე“ ოდენ 17-ათასი მაყურებელი მივიდა და ტაიმის ნახევარი მთქნარებაში გაატარა.

მეტოქეები თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ, განსაკუთრებით კამერუნელები. ისინი საკუთარ ნახევარზე დაფუძდნენ და შტატელთა შეტევების ჩაშლით ერთობოდნენ.

აფრიკელთა კარისკენ ედი ლუისის დარტყმული ერიკ კვეკომ მოიგერია. კამენის შემცვლელი ახალგაზრდა მეკარე დაბნეული ჩანდა და მომენტი მცველმა ლუსიენ მეტომომ განმუხტა.

„ლომები“ ხიფათმა შეაფუცხუნა და მეტოქის საჯარიმოსკენ თავადაც მოძუძგეს. ატებამ მარცხენა ფლანგზე ჟოულ ეპალეს ბურთი წაუმძღვარა, რომლის ჩაწოდებულსაც „ძიდლსბროს“ ფორვარდმა დეზირე ჟობიმ უხეიროდ დაჰკრა.

სასუხოდ ამერიკელებმაც შეუტიეს ბობი კონვეიმ კარში კარგად კი დაუმიზნა, მაგრამ მის განატყორცნ ბურთს გზად პიერ ნჯანკა გადაეღობა.

ამას მოჰყვა კამერუნელთა ორწუთიანი იერიში. ჟოზეფ დეზირე ჟობიმ ორჯერ მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ ტიმ ჰოვარდმა ორჯერვე იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ ბრიუს არენას შეგირდები უფრო უკეთ ათამაშდნენ. ივან კიროვსკიმ რამდენჯერმე სახიფათოდ დაურტყა ერიკ კვეკოს, თუმცა კამერუნელთა მეკარემ ამერიკელებს გოლი მაინც არ გაატანინა.

აფრიკელთა შეტევების ხარისხი მაშინღა გაუმჯობესდა, შეცვლაზე ჯერემი და სამუელ ეტოო რომ შევიდნენ.

მათ ტიმ ჰოვარდი არაერთხელ შეაწუხეს, შეხვედრის მიწურულს კი თამაშის ტემპი ისევ მინელდა. ბრიუს არენამ შინ კონფედერაციული ქუდა წაიღო, კამერუნელებს კი კოლუმბიის ნაკრები ელის.

REUTERS ლიონიდან

ამერიკელი კელი მარტნო შავ მარწუხებს ვერსად გაექცა

ვაჟა ხუციშვილი

საბოლოო ცხრილი

კამერუნი	3	2	1	0	2:0	7
თურქეთი	3	1	1	1	4:4	4
ბრაზილია	3	1	1	1	3:3	4
აშშ	3	0	1	2	1:3	1

კამერუნი და თურქეთი გავიდნენ ნახევარფინალში

ნახევარფინალი. 26 ივნისი

ლიონი

კამერუნი — კოლუმბია

სენ დენი

საფრანგეთი — თურქეთი

ღმერთო ჩემო, რა სულელურად....

წინასწარმეტყველობას ვერ დავიჩემებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პროგნოზი ბევრჯერ არ გამართლებულა. მაგრამ თავს მაინც მივცემთ უფლებას და 25 მარტის პრიმერადივიზიონის 27-ე ტურის მიმოხილვიდან, ორ აბზაცს სრულად გადმოვბეჭდავთ:

„როგორც ჩანსა, პრიმერადივიზიონს მადრიდის „რეალი" მოიგებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად კარგად თამაშობს, მისი კონკურენტებიც სულელურად კარგავენ ქულებს.

„რეალი სოსიედადი" ლიდერთან ერთი ქულის გაწვდენაზე უნდა ყოფილიყო. დარკო კოვაჩევიჩმა ჯერ მიკელ არანბუირუს პასით იხეირა, მერე პენალტიც გაიტანა და 40 წუთიც ბასკთა ორბურთიანი უპირატესობით გალია. აბა, „ვილიარეალი" რომელი „მანჩესტერ იუნაიტედია", წამატებულ წუთებში ორი გოლი გაჰქონდესო, ალბათ, ასე თუ იფიქრეს სანსებასტიანელებმა და მაგრადაც მიჰქარეს: 92-ე წუთზე ვიქტორმა ერთი ბურთი გაქვითა, 94-ე ზე კი მასპინძლებმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხეს და ხორხე ლოპესმა საარაკო საქმე ჩაიდინა."

ერთი სიტყვით, იმ მატჩში „სოსიედადმა" სრულიად სულელურად ორი ქულა დაკარგა და რომ არ დაეკარგა, ვინ იქნებოდა ახლა ესპანეთის ჩემპიონი?

ისე, მართლა რა საცოდავი გუნდია ეს „სოსიედადი" — მთელი 27 ტური ან ქულებით უსწრებდა „რეალს", ან ბურთების შეფარდებით, მაშინ როცა „რეალი" სულ 11 ტურის მანძილზე იყო ბასკებზე წინ.

„სოსიედადი" ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრეც მადრიდელებზე წინ იყო და მაინც...

	რეალი	სოსიედადი	
1 ტური	ესპანიოლი (შ) 2:0	ბილბაო (შ) 4:2	თანაბარი ქულები აქვთ
მე-2 ტური	ბეტისი (ს) 1:1	ესპანიოლი (ს) 3:1	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
მე-3 ტური	ოსასუნა (შ) 4:1	ბეტისი (შ) 3:3	თანაბარი ქულები აქვთ
მე-4 ტური	ვალიადოლიდი (ს) 1:1	ოსასუნა (ს) 2:3	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
მე-5 ტური	ალავესი (შ) 5:2	ვალიადოლიდი (შ) 2:1	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
მე-6 ტური	რასინგი (ს) 0:2	ალავესი (ს) 2:2	„სოსიედადი" 3 ქულით უსწრებს
მე-7 ტური	ვილიარეალი (შ) 1:1	რასინგი (შ) 2:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-8 ტური	დეპორტივო (ს) 0:0	ვილიარეალი (ს) 1:0	„სოსიედადი" 7 ქულით უსწრებს
მე-9 ტური	რაიო (ს) 3:2	დეპორტივო (შ) 1:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-10 ტური	სოსიედადი (შ) 0:0	რეალი (ს) 0:0	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-11 ტური	ბარსელონა (ს) 0:0	რაიო (ს) 0:0	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-12 ტური	სევილია (შ) 3:0	ბარსელონა (შ) 2:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-13 ტური	მალიორკა (ს) 5:1	სევილია (ს) 1:0	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-14 ტური	უელვა (შ) 4:2	მალიორკა (შ) 2:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-15 ტური	მალაგა (ს) 3:2	უელვა (ს) 3:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-16 ტური	ვალენსია (შ) 4:1	მალაგა (შ) 2:2	„სოსიედადი" 3 ქულით უსწრებს
მე-17 ტური	სელტა (ს) 1:0	ვალენსია (ს) 2:2	„სოსიედადი" 1 ქულით უსწრებს
მე-18 ტური	ატლეტიკო (შ) 2:2	სელტა (შ) 1:0	„სოსიედადი" 3 ქულით უსწრებს
მე-19 ტური	ბილბაო (ს) 1:1	ატლეტიკო (ს) 2:1	„სოსიედადი" 5 ქულით უსწრებს
მე-20 ტური	ესპანიოლი (ს) 2:2	ბილბაო (ს) 0:3	„სოსიედადი" 4 ქულით უსწრებს
21-ე ტური	ბეტისი (შ) 4:1	ესპანიოლი (შ) 0:0)	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
22-ე ტური	ოსასუნა (ს) 0:1	ბეტისი (ს) 2:3	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
23-ე ტური	ვალიადოლიდი (შ) 3:1	ოსასუნა (შ) 2:0	„სოსიედადი" 2 ქულით უსწრებს
24-ე ტური	ალავესი (ს) 5:1	ვალიადოლიდი (ს) 0:3	„რეალი" 1 ქულით უსწრებს
25-ე ტური	რასინგი (შ) 4:1	ალავესი (7) 3:1	„რეალი" 1 ქულით უსწრებს
26-ე ტური	ვილიარეალი (ს) 1:0	რასინგი (ს) 2:1	„რეალი" 1 ქულით უსწრებს
27-ე ტური	დეპორტივო (შ) 2:0	ვილიარეალი (შ) 2:2	„რეალი" 3 ქულით უსწრებს
28-ე ტური	რაიო (შ) 3:1	დეპორტივო (ს) 1:2	„რეალი" 6 ქულით უსწრებს
29-ე ტური	სოსიედადი (ს) 2:4	რეალი (შ) 4:2	„რეალი" 3 ქულით უსწრებს
30-ე ტური	ბარსელონა (შ) 1:1	რაიო (შ) 5:0	„რეალი" 1 ქულით უსწრებს
31-ე ტური	სევილია (ს) 3:1	ბარსელონა (ს) 1:2	„რეალი" 4 ქულით უსწრებს
32-ე ტური	მალიორკა (შ) 1:5	სევილია (შ) 1:0	„რეალი" 1 ქულით უსწრებს
33-ე ტური	უელვა (ს) 0:0	მალიორკა (ს) 3:1	„სოსიედადი" 1 ქულით უსწრებს
34-ე ტური	მალაგა (შ) 5:1	უელვა (შ) 1:0	„სოსიედადი" 1 ქულით უსწრებს
35-ე ტური	ვალენსია (ს) 2:1	მალაგა (ს) 2:0	„სოსიედადი" 1 ქულით უსწრებს
36-ე ტური	სელტა (შ) 1:1	ვალენსია (შ) 1:1	„სოსიედადი" 1 ქულით უსწრებს
37-ე ტური	ატლეტიკო (ს) 4:0	სელტა (ს) 2:3	„რეალი" 2 ქულით უსწრებს
ბოლო ტური	ბილბაო (შ) 3:1	ატლეტიკო (შ) 3:0	„რეალმა" 2 ქულით გაუსწრო და ჩემპიონი გახდა

27-ე ტური: დარკო კოვაჩევიჩის „სოსიედადი" ხოაკინ მორენოს (№15) „ვილიარეალთან" სულელურად დაკარგული ორი ქულის გამო ჩემპიონი ვეღარ გახდა



კვირას „რეალმა" 29-ედ, ვისენტე დელ ბოსკეს ხელში კი მეორედ მოიგო პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა. იმ ოთხ სეზონში, რაც დელ ბოსკე „რეალს" წვრთნიდა, მან ბევრი სხვა ჯილდოც მოიგო — ორჯერ ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

კვირას „რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ორშაბათს კი დელ ბოსკეს უთხრეს, რომ კონტრაქტს აღარ გაუგრძელებდნენ. დელ ბოსკე 30 წელი ემსახურა „რეალს", გაშვებისას კი აუხსნეს, რომ კლუბში რაღაცეები შესაცვლელია.

დელ ბოსკეს დათხოვნიდან საათში ყოფილმა მწვრთნელმა პირველი ინტერვიუ მისცა რადიო „კადენა სერს", რომელსაც აქ გთავაზობთ.

რა თქვა დელ ბოსკემ? და რა არ მოეწონა პერესს?

— ელოდებოდით, რომ კონტრაქტს აღარ გაგიგრძელებდნენ?

— ოცი დღე იქნება, რაც კლუბში რაღაცეების შეცვლაზე ლაპარაკობენ, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მაინცდამაინც მოულოდნელი არ ყოფილა.

— გულდაწყვეტილი ხართ?

— ფლორენტინო პერესს დახლოებით თვენახევრის წინ ველაპარაკებაშინ ის კმაყოფილი იყო, ამიტომ ბოლომდე ვერ ვხვდები, რა მოხდა. თუმცა ვცდილობ, რაც მოხდა, გულთან ძალიან ახლოს არ მივიტანო.

— ახლა აღარ გილაპარაკიათ პერესთან?

— კვირას საღამოს, ზეიმისას, რამდენიმე სიტყვა გადავულაპარაკეთ ერთმანეთს, სულ ეს იყო. მწვრთნელი რომ აღარ ვიქნებოდი, ვალდანომ მითხრა.

— თქვით, რომ გადაწყვეტილება თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. რატომ?

— შემადგენლობაზე ჩემი მოსაზრებები მქონდა. ვამბობდი, რომ რამდენიმე ოჯარით გაშვებული ფეხბურთელი უნდა დაგვებრუნებინა. მაგრამ შევატყე, რომ არ მისმენდნენ. ჰოდა, ვიფიქრე, თუ არ მისმენენ, ალბათ გაშვებას მიპირებენ-თქო.

— პერესის იდეებს ეწინააღმდეგებოდით?

— არასდროს შევწინააღმდეგებივარ. ბოლოს რომ შევხვდი, დიდი სიყვარულით მელაპარაკა. არ ვიცი, ჩემდამი ამგვარი დამოკიდებულება საიდან მოდის.

— გუნდში როგორი განწყობაა?

— რაღაც დისკომფორტი შეინიშნება, თუმცა სერიოზული არაფერია. არც ვითხოვ ფეხბურთელებისგან, რომ საპროტესტო აქციები მოაწყონ.

— ალბათ შეიძლებოდა, ცოტა ადრე ეთქვათ, რომ გიშვებდნენ..

— როდის მეტყოდნენ, მათი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ იმ ურთიერთობების გამო, რაც კლუბთან წლების მანძილზე ჩამომიყალიბდა, ალბათ ვიმსახურებდი, ყველაფერი ადრევე მცოდნოდა. მათ იციან, რომ საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება ამით არ შეიცვლებოდა.

— დავუშვათ, „ატლეტიკომ" ან „ბარსელონამ" შემოგთავაზათ სამუშაო...

— ეს არასდროს მოხდება.

— რაიმე წინადადებები გაქვთ?

— ადრე მქონდა ერთი შემოთავაზება, მაგრამ მთლიანად „რეალს" ვეკუთვნოდი და არც მიჰასუხია.

— და მაინც რას გრძობთ ახლა?

— ერთბაშად უამრავ რამეს. ვიცი, „რეალში" არიან ადამიანები, რომლებსაც ხელს ვუშლიდი, მაგრამ უფრო ბევრნი ისინი არიან, ვინც ფიქრობს, რომ საქმეს კარგად ვუძღვებოდი.

— ვალდანომ კონკრეტულად რა გითხრათ?

— მითხრა, რომ „რეალი" კურსს ცვლის. სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან დელიკატურად გამომიცხადა.

— ახალი სამუშაო შემოგთავაზეს?

— იცით, მომბეზრდა მეათეხარისხოვანი საქმეების კეთება. არ მინდა, რომ კლუბში სამადლოდ ვიყო.

— ვალდანო თქვენი მეგობარია?

— მეგობრები არასდროს ვყოფილვართ. ჩვენ პარტნიორები ვიყავით. უფრო სწორად, ის ჩემი უფროსი იყო და მის ბრძანებებს ზუსტად ვასრულებდი.

— ორი თვის წინ პერესი თქვენს დატოვებაზე ლაპარაკობდა. ხალხი ვერ მიმხვდარა, რა შეიცვალა...

— ადამიანებს აზრები ეცვლებათ. ალბათ, რამე ისეთი ვთქვი, რაც არ მოეწონა, თუმც რაში შევცდი, ვერ ვხვდები. თუმც დარწმუნებული ვარ, როცა ჩემი გაშვების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო, ფიქრობდა, რომ „რეალისთვის" ასე უკეთესი იქნებოდა.

— ამბობენ, თქვენი სამწვრთნელო კარიერის დასასრული „იუვენტუსთან" წაგების მერე დაიწყო...

— ვერაფერს გეტყვით.

— იეროსაც რომ გაუშვებდნენ, ელოდით?

— ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო. მეტიც, მეგონა, რომ მასთან უკვე გააფორმეს ახალი კონტრაქტი.

— ფეხბურთელთაგან ვინმემ დაგირეკათ?

— არავინ, თუმც ეს არ მაწყობს. ფეხბურთელებთან ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ალბათ, შემეხმიანებიან. ჩემი გაშვებიდან ხომ ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა.

რას ბრძანებთ, არ მიბრძანებია!

იეროს მართალი რეალის ტყუილია

ფერნანდო იეროს 14-წლიანი დიდებული მადრიდული კარიერა დასრულდა. კვირას, 22 ივნისს, „რეალის“ შემადგენლობაში რიგით მეხუთე პრიმერადივიზიონის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ „სამეფო გუნდმა“ მასთან განშორება გადაწყვიტა. „რეალიდან“ დათხოვნის შესახებ მას ტელეფონით შეატყობინეს. ესპანური ABC კი რკინის კაპიტნის კლუბიდან წასვლის მიზეზის გაგებას შეეცადა.

— თუ აგიხსენს, რატომ შეწყვიტა „რეალმა“ თქვენთან თანამშრომლობა?

— მითხრეს, რომ „რეალი“ ვერ მოითმენს „ატლეტიკთან“ მატჩისშემდგომ ჩემს საქციელს. უკვე 35 წლის ვარ, „რეალში“ 14 სეზონი გამიტარებია და ჩემი ხასიათის შეცვლაზე ლაპარაკი გადაჭარბებულად მიმაჩნია. თუმც, რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდან არავითარი სკანდალი არ იქნება და კლუბიდან წასვლაზეც თანხმობა განვაცხადე.

— კი მაგრამ, კლუბის თავკაცებთან შეთანხმებული იყავით, „რეალში“ კიდევ ორი წელი რჩებოდით...

— სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა, მეგობრულად ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს და რაიმე წერილობითი დოკუმენტის გაფორმება უაზრობად ჩავთვალე, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა გადაწყვიტეს, რომ ჩემთან თანამშრომლობა საზიანოა, მორჩა და გათავდა. ვფიქრობ, ეს საკვირაო მატჩის შემდგომი ამბების გამო არ ხდება, გადაწყვეტილება „რეალს“ უფრო ადრე ჰქონდა მიღებული. მაგრამ, როგორც ვთქვი, მის გასაჩივრებას არ ვაპირებ.

— უკვე რამდენი ხანია, რაც თქვენი მისამართით მძაფრი ბრალდებები გაისმის...

— თუ მადრიდის „რეალის“ კაპიტანი ხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, რას იზამ, ცხოვრება ასეთია.

— ამბობენ, რომ 22 ივნისის საჩემპიონო თამაშის მერე გუნდმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორი თქვენი ბრძანებით ნაადრევად მიატოვა. რას იტყვით ამის შესახებ?

— ჩვენ გასახდელს სიხარულით გაგიჟებული გულშემატკივრების შიშით მივაშურეთ. მთელი მოედანი ხალხით გაივსო, ჩვენს გარშემო დარბოდნენ, ყვიროდნენ — რას ვიფიქრებდი, თუ ისინი ყველანი ჟურნალისტების იქნებოდნენ? ასეთი რამ ადრე არასოდეს მინახავს. ჩავთვალეთ, რომ ინჩასებმა სტადიონის დამცავი ზღუდე გამოგლიჯეს და ამიტომაც ჯერ მე, ხოლო შემდეგ მთელი გუნდი მინდორს გავეცალეთ. არავითარი ბრძანება, როგორც თქვენ ამბობთ, მე არ გამიცია.

— ვალდანოს თხოვნის შემდეგ რატომ არ დაბრუნდით ჟურნალისტებთან?

— მერე დაბრუნებას რაღა აზრი ჰქონდა.

— ვალდანოსთან და პერესთან საკმაოდ რთული საუბარი გქონიათ...

— მე მას მხოლოდ ჩემი სათქმელი ვუთხარი.

— მაგრამ იმითაც დაემუქრეთ, რომ გუნდი არც სიბელჯსზე და არც ქალაქის მერიაში არ წავიდოდა ჩემპიონობის აღსანიშნავად...

— ხომ წავედით? ვთქვით, რაც სალაპარაკო იყო და ყველაფერი დამთავრდა, ეს არის და ეს.

— თქვენ და რაული სულ რაღაც ისტორიებში ხართ გახვეული...

— ეს ვეტერანობის, დიდი ხნის თამაშისა და ასევე დიდი პასუხისმგებლობის ბრალია. მართალია, კაპიტნები ვართ, მაგრამ ჩვენი მდგომარეობით არ გავყოყოჩებულვართ და არასოდეს დაგვიწყებია, რომ „რეალის“ ნაწილი ვართ. პირადად მე გუნდის ინტერესების გამო ვისაც გინდათ იმას დავუპირისპირდები — „რეალი“ ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია. თუმც, როგორც უკვე მითხარით, ყოველი კამათის გამო დიდი აჟიოტაჟის ატეხვა საჭირო არ არის, ჩვენ ყველამ საკუთარი საქმე ვიცით.



ფრანკ რაიკარდი და ხუან ლაპორტა

ვიმუშავოთ და ვიფიქროთ

ლაპორტა და რაიკარდი ერთმანეთის შანსები არიან

„ბარსელონას“ პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას საფეხბურთო მოღვაწეობა შეგვიძლია ორ ეტაპად გავყოთ — წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდგომად.

არჩევნებამდე მისი შეუსრულებელი მთავარი დაპირება, დევიდ ბექჰმის „ბარსაში“ გადაბირების თაობაზე ზოგმა აფერისტობად მონათლა, ზოგმაც — უიღბლობად. აი, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი, რაც თქვა, აასრულა კიდეც.

ლაპორტამ თქვა, რადომირ ანტიჩს კონტრაქტს აღარ გავუგრძელებო — შეასრულა. მანვე თქვა, ფრანკ რაიკარდს „ბარსას“ მწვრთნელად მოვიყვანო — ესეც შეასრულა.

წარსულში დიდი ფეხბურთელი კატალონიურ კლუბს ოთხი წლით უთავკაცებს, თუ, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, წინამორბედთა მსგავსად, ვადამდე არ დაიფრენენ.

„კამპ ნოუზე“ ჩატარებულ პირველ პრესკონფერენციაზე რაიკარდმა განაცხადა: „კლუბის ხელმძღვანელთა იდეებს სრულად ვიზიარებ, გუნდმა ჯილდოები უნდა მოიგოს. პირადად ჩემთვის კი ეს დანიშვნა დიდ გუნდში მუშაობის ბრწყინვალე შანსია. ახლა სწორედ ის დროა, როცა გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ და მომავალზე ვიფიქროთ. ისეთი კლუბი, როგორც „ბარსელონაა“, უმაღლეს მიღწევებს იმსახურებს.“

ბოლოს კი ვთქვათ, რომ „ნარინჯისფერთა“ ეროვნული გუნდის ყოფილ მწვრთნელ რაიკარდს „ბარსელონაში“ აღარ დახვდება ფრანკ დე ბური — კონტრაქტდასრულებულმა ტყუპისცალმა ახალი კონტრაქტის გაფორმება იუარა და გუდა-ნაბადი აიკრა.

ისე, თუ გახსოვთ, სამი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში სწორედ დე ბურის გაფუჭებული ორი პენალტის გამო გაეცალა რაიკარდი ჰოლანდიის ნაკრებს.

გიორგი დარჯანია

ფრანკ რაიკარდი

დაიბადა 1962 წლის 30 სექტემბერს ამსტერდამში

1980: დაიწყო თამაში „აიაქსში“

1981: 1 სექტემბერს ჰქონდა სანაკრებო დებიუტი შვეიცარიასთან. სულ ნაკრებში 73 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა

1982: გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი. იგივე შედეგს მომდევნო და 1985 წლებშიც მიაღწია

1987: მოიგო თასების მფლობელთა თასი. „აიაქსმა“ ფინალში ლაიფციგის „ლოკომოტივი“ დაამარცხა

1988: გადავიდა „სარაგოსაში“, საიდანაც მალევე „მილანში“ აღმოჩნდა რუუდ გულიტთან და მარკო ვან ბასტენთან ერთად. ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა

1989: „მილანმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო, ფინალში „სტიაუა“ დაამარცხა

1990: ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანმა“ მისი გოლით მოუგო „ბენფიკას“

1993: დაბრუნდა „აიაქსში“

1994: 9 ივლისს ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა, რის მერეც სანაკრებო კარიერა დაასრულა. „აიაქსი“ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა

1995: ჩემპიონთა ლიგის ფინალში „აიაქსმა“ მისი ყოფილი გუნდი „მილანი“ დაამარცხა, რის მერეც კარიერა დაასრულა. სულ „აიაქსში“ 337 მატჩი ჩაატარა და 71 გოლი გაიტანა

1998: ჰოლანდიის ნაკრებში გუს ჰიდინკის თანაშემწედ დანიშნეს. აგვისტოში კი მწვრთნელის პოსტი ჩაიბარა. ეროვნულ გუნდს 22-ჯერ უთავკაცა (8 მოგება, 12 ფრე, 2 წაგება)

2000: ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიასთან დამარცხების შემდეგ გადადგა

2001: როტერდამის „სპარტას“ მწვრთნელად დაინიშნა, საიდანაც ერთი წლის მერე წავიდა

2003: „ბარსელონას“ მწვრთნელის პოსტზე რადომირ ანტიჩი შეცვალა

კეირუში რეალში ფიგუმ მიიყვანა

„რეალ“ — „მანჩესტერის“ სატრანსფერო ინტრიგები გრძელდება. სამხრეთული გრანდი ბექჰმის მერე ცნობილი პორტუგალიელი სპეციალისტის, კარლოს კეირუშის გადაბირებას გეგმავს. კეირუში ამჟამად „იუნაიტედის“ მეორე მწვრთნელია, სერ ალექს ფერგიუსონის მოადგილე, ლუიშ ფიგუს ტალანტი მისი აღმოჩენაა. სწორედ ფიგუ მიწვია ფლორენტინო პერესმა „რეალის“ თავკაცთა საგანგებო კრებაზე, სადაც კეირუშის საპრიმერო საქმეთა განხილვა ჰქონდათ გადაწყვეტილი. მადლიერმა შვეიცარმაც მასწავლებელს საქებარი სიტყვები არ დაამადლა და კასტილიელებს კეირუშის მოყვანა ურჩია. ამის მერე პერესმა მედიასთან საუბარში ფიგუს საფეხბურთო მოძღვრით დინტერესება დაადასტურა. კეირუში 1989-91 წლებში ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნიდა 1994 წლის ამერიკის მუნდიალზე მოსახვედრად, თუმცა შესარჩევ ციკლში განცდილი წარუმატებლობის გამო თანამდებობას ჩამოაშორეს. შემდგომში სამხრეთ აფრიკის გუნდს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე აფრიკელი ნაკრების დამრიგებლობაზე უარი განაცხადა. პორტუგალიური პრესა კეირუშს უკვე უწინასწარმეტყველებს მადრიდულ კარიერას. „კეირუში და „რეალი“ ახლა ერთი და ივივეა“ — გვამცნობს ლისაბონური „რეკორდი“. „ა ბოლა“ კი ესპანურ ტრანსფერს თითქმის გადაწყვეტილად თვლის: „კარლოს კეირუში ერთ ნაბიჯზეა „რეალის“ მწვრთნელობიდან.“ იუწყებიან, რომ ფლორენტინო პერესისა და კეირუშის წარმომადგენელ ჟოზე ვეგას მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარლოსს „რეალში“ ვიხილავთ.



ლადო ხოვერიძე

მოდი, ფული წავაგოთ

ბარსას ვერონი მუქთად უნდა

„ბარსელონა“ 8 მილიონ გირვანქად, ანუ 11,2 მილიონ ევროდ ხუან სებასტიან ვერონის შეძენას ცდილობს. მოგეხსენებათ, არგენტინელი ვარსკვლავი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს და, როგორც ამბობენ, მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ამ გარიგებაზე უარის თქმას არ აპირებს, რაც ერთი შეხედვით გასაკვირია. გასაკვირია იმიტომ, რომ ინგლისის ჩემპიონს, თავის დროზე, ამ მოთამაშეში 20 მილიონი გირვანქა ანუ 28 მილიონი ევრო აქვს გადახდილი, მაგრამ მიმომხილველთა აზრით ფასდაკლება მანჩესტერელთა მიერ კატალონიელების დევიდ ბექემის საკითხში მოტყუების კომპენსაცია იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ ამ გარიგებას ფერგიუსონის მეგობარი, სუპერაგენტი პინი ზაჰავი აგვარებს. მას ეხმარება ან თუ გნებავთ, მასთან თანამშრომლობს ფრენსის მარტინი, ფერგიუსონის შვილის, ჯეისონის კომპანიონი „ელიტ მენეჯმენტში“.

ამბობენ, რომ „ბარსას“ ინგლისში სხვა ინტერესიც აქვს. მას „ლიდს იუნაიტედისგან“, მხოლოდ და მხოლოდ 5 მილიონ გირვანქად, ავსტრალიელი ჰარი კიუელის შეძენაც სურს.

აღსანიშნავია, რომ ზაჰავი დევიდ ბექემის კატალონიაში გაყიდვას ლამობდა, მაგრამ წარუმატებლობები, როგორც ჩანს, სუპერაგენტებსაც მოსდით. იგივე ზაჰ ავი გახლდათ „ლაციოდან“ ხუან ვერონის „მანჩესტერში“ გადაყვანის ორგანიზატორი.

ხოლო, როგორც „კამპ ნოუს“ ბოსები ამბობენ, მათ აქვთ რეალური საშუალება ორი კარგი მოთამაშე ერთის ფასად შეიძინონ. თუ ეს ვარიანტი გამოვა, მაშინ „ბარსა“ „პარი სენ ჟერმენიდან“ რონალდინიოს ყიდვაზე ხელს აიღებს.

ვერონმა, როგორც ცნობილია, ფერგიუსონის მრავალგზის თანადგომის მიუხედავად, „ოლდ ტრეფორდზე“ ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა, რადგან მას სხვა სტილის ფეხბურთი ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი.

და მაინც, დათანხმდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ დირექტორატი ამოდენა თანხის წაგებას? რა თქმა უნდა, ფერგიუსონის პოზიცია მათთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ...

პაპუნა კედია



სახუმარო საქმე არა, გუნდში გყავდეს თავდამსხმელი, რომელსაც 300 გოლი გაუტანია. ინგლისში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან ასეთი მხოლოდ 37 წლის ტედი შერინგემია, რომელიც სეზონის ბოლოს თითქოს ფეხბურთიდან წასვლა დააპირა, რადგან მშობლიურმა „ტოტენჰემმა“ ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზა. 300-იან კაცს უქმად ვინ დატოვებდა? ჰოდა,

შერინგემი პორტსმუთმა შეირგო

„პორტსმუთმა“ შერინგემი პრემიერლიგას კიდევ ერთი სეზონით შეუნარჩუნა.

ზემოთ სამასი გოლი ვახსენეთ და აღსანიშნავია, რომ მათგან ნახევარზე მეტი თავითაა გატანილი. „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ასეთი მოთავურის მოცდენა არ ინება. პრემიერლიგის ახალბედა გუნდს სერბი მილიონერის ფული აცოცხლებს. მილიონერს კი პირველივე სეზონში დაქვეითება არ სურს და საქმეს სერიოზულად მოეკიდა.

„უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს გუნდში უდიდესი ფორვარდი ითამაშებს. თითქმის შეუძლებელი შევძელითთ და იგი ფეხბურთში დავტოვეთ“ — თქვა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პეტერ სტორიემ.

ტედი შერინგემს ინგლისის ნაკრებში 51-ჯერ უთამაშია. ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ფინალში კი „მანჩესტერმა“ სწორედ მისი თავ-ფეხის წყალობით დაამარცხა მიუნხენის „ბაიერნი“.

ვაჟა ხუციშვილი

ლიმუზინი გაჩერდა და...

სიძემ სიდედრს სულის სავანე უფეშქაშა

ქალბატონი ჯეკი ადამსი, ინგლისში, ესექსში, სახლის კარს რომ გააღებს, იქვე დააღებს პირს — ფოსტალიონი ოთხი დიდი ბუდისტური სალოცავით მიადგება — ჩაიბარეთ, მემ და აქ ხელი მომიწერეთო, ეტყვის. თუმცა, სადაც ეს ყველაფერი ჩვენ ვიცით, მისის ადამსსაც ეცოდინება. გაზეთებს წაიკითხავდა ან გაზეთებამდე შვილი დაურეკავდა. სალოცავებიდან ერთი წითელია, მეორე ოქროსფერი, მესამე მწვანე და მეოთხე ლურჯი. მისის ადამსის შვილს არჩევით თავი არ შეუწუხებია, ოთხივე იყიდა.

ეს ამბავი ასე მოხდა: ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი და მეუღლე მისი ვიქტორია ბანგკოკიდან ასი მილის მოშორებით, ტელერეკლამის გადასაღებად ლიმუზინით მიჰქროდნენ, როდესაც მისის ბექემმა ლიმუზინის ფანჯრიდან გასაყიდად გამოტანილი ოთხი სალოცავი დაინახა და გაგიჟდა. ვიქტორიამ მძღოლს დაუყოვნებლივ გააჩერებინა მანქანა და პოლიციის ესკორტის გასაოცრად ქმრიანად გადმოვიდა. ქმარი იმით იყო საინტერესო, რომ თმა ახლებურად ჰქონდა დავარცხნილი, დანარჩენი კი ცოლის საქმე იყო, სალოცავები ახლოდან შეათვალიერ-შემოათვალიერა და მანქანაში დაბრუნდა.

ერთი საათის შემდეგ მაღაზიას, რომელიც სალოცავებით ვაჭრობდა, კაცი მიადგა, ჯიბიდან 24 ათასი ბაჰტი ამოიღო და ოთხივე იყიდა. შემდეგ კაცმა ზედაც 4 ათასი ბაჰტი დაამატა, რათა გამყიდველს სალოცავები ბანგკოკის გავლით ინგლისში გაეგზავნა.

მაღაზიის პატრონი ანტიგა ბანდიტჩანი: „ეს სალოცავები სულთა სავანეებია, ჩვენში ასეთი ყველას აქვს. ისინი ბოროტ სულებს იგერიებენ. ხალხი მათ ჩვეულებრივ ბაღში დგამს, მაგრამ იმ დღეს, კაცი რომ მოვიდა და მითხრა დევიდისთვის ვყიდულობო, რამდენიმე წამის განმავლობაში დაბნეული ვიდექი, რადგან ვერ მივხვდი, რომელ დევიდზე იყო ლაპარაკი. რაც მთავარია, ის არ შემვაჭრებია და არც მე ამიწევია ფასი, მიუხედავად იმისა, რომ მისტერ და მისის ბექემებს ფული ბევრი აქვთ და ძვირის გადახდაც არ გაუჭირდებოდათ“.

აი, ახლა დადგა დაზუსტების დრო. 24 ათასი ბაჰტი დაახლოებით 350 ინგლისური გირვანქაა. ეს თანხა კი ბექემისთვის იგივეა, რაც, უფალო მკითხველო, ჩემთვის და თქვენთვის ხუთი თეთრი. შესაძლოა უფრო ნაკლებიც.

რაც შეეხება ბექემიანთ წყვილს, მათ გზა რომ განაგრძეს, ოთხი რეკლამა გადაიღეს, სადაც ტოკიოს სილამაზის ცენტრზეა საუბარი. რეკლამებს იაპონელები დაატრიალებენ, ბექემები კი 2 მილიონ გირვანქას მიიღებენ. სხვათა შორის, ერთ-ერთ რეკლამაში დევიდი ბანგკოკელ ბავშვებთან ერთად პლაჟის ფეხბურთს თამაშობს.

როგორც ერთმა თვითმხილველმა თქვა, ვიქტორია გადამღებ ჯგუფს აიძულებდა დუბლი დუბლზე გადაეღოთ, რადგან ხან ამით და ხან იმით უკმაყოფილო რჩებოდაო. დევიდს, თურმე, ამდენი დუბლის გადაღება ეზარებოდა. ამ ამბავს ხმელეთიდან 50 შეიარაღებული პოლიციელი იცავდა, ხოლო ზღვიდან სამი საპატრულო ნავი.

დღეს ცოლ-ქმარი მალაიზიაში მიემგზავრებიან, საიდანაც ვიეტნამში უნდა წავიდნენ. ამით მოგზაურობა, რომელსაც ბექემებისთვის 10 მილიონი გირვანქა მოაქვს, დამთავრდება.

პაპუნა კედია





როსტოვი — სპარტაკი. მოსკოველთა მეკარე ალექსეი ზუევმა ისო კანიენდა საპენალტედ წააქცია

ეს უნდა ნახო

მოსკოვში – მახო, როსტოვში – ჯიო

რუსეთი

ჩემპიონატი XV ტური

სპარტაკ-ალანია 0:1 ურალანი

0:1 ბოჩკოვი (49)

სპარტაკ-ალანია: გონჩაროვი, პაგაევი, აგაევი, იოვიჩი, ბოციევი (სიკოევი 62), ვარზიევი, გიკაევი (მიხოლაპხი 56), ჩოჩიევი, გ. ბაზაევი, აილაროვი (მენთეშაშვილი 25), აშვეთია

ლოკომოტივი 2:0 დინამო

1:0 ბუზნიკინი (10), 2:0 ასათიანი (27)

ლოკომოტივი: ოგანიანოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ნიფეგოროდოვი, ლეკხეტო, პაშინინი, სენიკოვი, ასათიანი (ვუჩიჩევიჩი 90), ლოსკოვი, ბუზნიკინი (სირხაევი 78), იზმაილოვი

სატურნი 1:1 რუბინი

1:0 ჯ. ბაზაევი (18), 1:1 სკოტი (40)

რუბინი: კოზკო, კალისტო, ნოვოტნი, სილაბაძე, სკოტი, სინეევი, ხარლამოვი, შარონოვი (კონოვალოვი 70), ბოიარინცევი, ნეჩაევი (ზიფეკი 58), რონი

ტორპედო-მეტალურგი 1:2 შინიკი

1:0 რეხვიაშვილი (58), 1:1 ფუზაილოვი (69), 1:2 კარპენკო (84)

ცსკა 2:0 ტორპედო

1:0 სემაკი (50), 2:0 იანოვსკი (79)

როსტოვი 3:2 სპარტაკი

1:0 ოსინოვი (17), 1:1 სმირნოვი (83), 2:1 ოსინოვი (87პ), 2:2 პავლიუჩენკო (89), 3:2 კანიენდა (90)

კრილია სოვეტოვი 2:1 ზენიტი

1:0 დე სოუზა (27), 2:0 ტიხონოვი (30), 2:1 კერეკოვი (51)

ჩერნომორეცი 1:0 როტორი

1:0 სკრილნიკოვი (85ს.კ.)

პირველი წრის დასრულებამდე ტურნირი დარჩა, მაგრამ ცსკა-მ ზაფხულის ჩემპიონის წოდება ვადაზე ადრე გაირტყა. არმიელები უახლოეს მდევარს შვიდი ქულით უსწრებენ.

მოსკოვის „ლოკომოტივმა" თანაქალაქელ „სპარტაკთან" მეზობლობი აღარ ისურვა და ცხრილის თავისკენ დაიძრა. ბოლო ექვს მატჩში თოთხმეტი ქულა მოაქუჩა და მეცამეტედან მეოთხე ადგილს უწია. იური სიომინმა დაცვის პრობლემები მოაგვარა. გუნდმა თამაში შეტევაშიც გამოასწორა, გოლების გატანას უხშირა და მეგოლეებში მალხაზ ასათიანიც გაერია.

ქართველმა დაახლოებით ისეთივე თავურით, თბილისში რუსებს რომ შეუსრულა, მოსკოვის „დინამოს" მეორე გაუტანა და რკინიგზელებმა მეტოქეს საქმე პირველივე ტაიმში მოუთავეს.

პირველი გოლი ერთობ მონდომებულმა მაქსიმ ბუზნიკინმა მიითვალა. მას მესამეც შეეძლო გაეფორმებინა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი ვერ მოათვინიერა.

მალხაზ ასათიანს მწვრთნელი ენდო და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე შეცვალა. სანამ მოედანზე იყო, ქართველმა პასებიც უხვად არიგა და საკმაოდ მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, ალექსანდრე რეხვიაშვილი თავის გუნდს გოლით შეეწია. ვარდნაში ზუსტი და ლაზათიანი თავური დარტყმით „ტორპედო-მეტალურგი" დააწინაურა. მეორე ტაიმში „შინიკმა" კარპენკოს დუბლით მოსკოვიდან სამი ქულა მაინც წაიღო.

„ტორპედო-მეტალურგს" მხცოვანმა, უკვე 70 წელს მიტანებულმა ვალენტინ ივანოვმაც ვეღარ უშველა. მან ერთი თვის წინ ჩაიბარა გუნდი. თავიდან თითქოს აააწყო კიდეც, მაგრამ ახლა უძლურობა იგრძნო და მეთექვსმეტე ადგილზე დალექილი მეტალურგების მიტოვება სურდა, თუმც კლუბის პრეზიდენტმა დარჩენაზე დაიყოლია.

„როსტოვმა" „სპარტაკზე" შური იძია. დონისპირელებს აქამდე „სახალხო გუნდი" ზედიზედ 17 მატჩში ვერ დაემარცხებინათ და ახლა მოახერხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ „სპარტაკს" ჩემპიონატების ისტორიაში მიჯრით ოთხჯერ არასოდეს წაუგია და ასეთი სერია ახლა გამოაცხო. აქვე ერთი კვირისწინანდელიც გავიხსენოთ, ეს რომ „სპარტაკმა" „როსტოვს" თასის ფინალში სძლია.

მოკლედ, მასპინძლებს მოტივაცია ჯიბეში არ უძებნიათ. როსტოვში „სპარტაკს" უკვე ახალი მწვრთნელი, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი გაუძღვა. ოლეგ რომანცევის ეპოქა ისტორიას ჩაბარდა.

ქორფა მწვრთნელმა საკლუბო მოღვაწეობა მარცხით დაიწყო, მისი გუნდის მცველებს კი მატჩის მიწურულს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ქულას მაინც წაიღებდნენ.

დონისპირელები ოსინოვმა პირველივე ტაიმში დააწინურა. მეორე ნახევრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მასპინძლები ერთბურთიანი სხვაობით იგებდნენ. სმირნოვმა გაქვითვა შეძლო და შეხვედრის ბოლო გოლებით დაიხუნძლა.

სტადიონზე ფეხბურთის სანახავად ცნობილი ილუზიონისტი იგორ კიოც მისულიყო. თითქოს მისი ერთ-ერთი ნომერიაო, სამ წუთში სამი გოლი გავიდა. საბოლოო და გამარჯვებისა აფრიკელმა ლეგიონერმა ისო კანიენდამ შეაგდო.

ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ" პირადი რეკორდი მოიწყო — ზედიზედ შვიდჯერ დამარცხდა, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა.

ვაჟა ხუციშვილი

ცსკა	14	10	3	1	27:12	33
სატურნი	14	7	5	2	21:12	26
დინამო	14	7	3	4	27:16	24
ლოკომოტივი	14	6	3	5	19:17	21
როსტოვი	14	5	6	3	15:18	21
ზენიტი	14	6	3	5	14:17	21
შინიკი	14	4	8	2	19:14	20
კრილია	14	5	5	4	18:13	20
რუბინი	14	5	5	4	18:13	20
ტორპედო	14	5	4	5	16:16	19
ჩერნომორეცი	14	4	6	4	16:17	18
სპარტაკი	14	3	4	7	16:21	13
როტორი	14	3	4	7	14:20	13
ალანია	14	4	0	10	9:26	12
ურალანი	14	2	5	7	8:20	11
ტ. მეტალურგი	14	2	4	8	11:16	10

ბოკა თმოგს

არგენტინა

კლაუსურა XVII ტური

რივერ პლეიტი 3:0 ხიმნასია

1:0 კავენაგი (2), 2:0 ფუერტესი (6), 3:0 დალესანდრო (79)

ტალიერესი 3:1 ბოკა ხუნიორსი

1:0 პერონი (7), 2:0 ლა პალია (12პ), 3:0 კ. გონსალესი (23), 3:1 მატიას სილვესტრი (38)

ველეს სარსფილდი 1:0 ოლდ ბოიზი

1:0 ნანი (10)

კოლონი 2:1 რასინგი

1:0 ი. ბლანკო (3), 1:1 პერალტა (32), 2:1 ჰ. რომანიოლი (75)

ჩაკარიტა 0:1 ოლიმპო

0:1 კ. კასტილიო (33)

ესტუდიანტესი 5:1 ნუევა ჩიკაგო

0:1 დ. სებალიოსი (22), 1:1 არგუელო (24ს.კ.), 2:1 კარუზკა (26), 3:1, 4:1 მაჯოლო (29, 61), 5:1 ლუგერჩიო (88)

როსარიო 4:0 უნიონი

1:0 ფიგეროა (14), 2:0 კარბონარი (42პ), 3:0 გ. ვერა (66ს.კ.), 4:0 პინო (85)

ინდეპენდიენტე 0:1 ბანფილდი

0:1 ფაბიენზი (55პ)

ურაკანი 1:3 ლანუსი

0:1, 0:2 რ. დიასი (18, 66), 0:3 ბ. მონტოია (71), 1:3 გარიპე (83პ)

არსენალი 1:2 სან ლორენსო

1:0 ს. გონსალესი (20), 1:1 დ. ლუნა (33), 1:2 სახა (85პ)

„ბოკა ხუნიორსმა" თითქოს ღიად თქვა უარი კლაუსურას ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე და მთელი ყურადღება ლიბერტადორესის თასის პირველ ფინალურ მატჩზე გადაიტანა, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს.

გასულ უქმეებზე კარლოს ბიანკომ სათადარიგო გუნდი გაიყვანა კორდობას „სპილოების სასფლაოზე", იქაურ „ტალიერესთან" სათამაშოდ. „ტალიერესი" ისედაც ცნობილია, როგორც დიდი გუნდების მკვლელი და მისი სტადიონისთვისაც ამიტომ შეურქმევათ ასეთი სახალხო სახელი. უკვე 23-ე წუთზე „ტალიერესი" 3:0-ს იგებდა ემანუელ პერონის, სესარ ლა პალიას (პენალტით) და კლაუდიო გონსალესის გოლებით. „ბოკა", რომელიც მარტიდან მოყოლებული კვირაში ორ მატჩს თამაშობს, მატიას სილვესტრის ერთადერთი გოლით გაეპასუხა.

ამ ვითარებაში „რივერ პლეიტმა" იოლად მოიგო „ხიმნასია ლა პლატასთან", რომელმაც დაცვითი შემადგენლობა კი გამოიყვანა, მაგრამ უკვე მეექვსე წუთზე 0:2-ს აგებდა, მერე კი ანდრეს დალესანდრომ ზღაპრული სილამაზის გოლი გაიტანა და „რივერმა" ცხადია, შეინარჩუნა ლიდერობა და უკვე ოთხი ქულით უსწრებს მესამეზე ჩავარდნილ „ბოკას", ხოლო ორით „ველეს სარსფილდს". ამ უკანასკნელმა რობერტო ნანის გოლით დაამარცხა „ნიუველს ოლდ ბოიზი". კლაუსურას დასრულებამდე კი ორი ტურიღა რჩება.

ონორიო ბუსტოს დომეკი

რივერ პლეიტი	17	12	4	1	40:15	40
ველესი	17	12	2	3	27:10	38
ბოკა ხუნიორსი	17	11	3	3	31:15	36
როსარიო	17	9	6	2	33:16	33
ოლიმპო	17	8	4	5	21:15	28
სან ლორენსო	17	7	4	6	24:26	25
ლანუსი	17	7	3	7	26:27	24
კოლონი	17	5	8	4	16:14	23
ნუევა ჩიკაგო	17	6	5	6	26:29	23
ესტუდიანტესი	17	5	7	5	21:18	22
ხიმნასია	17	6	4	7	19:26	22
რასინგი	17	5	6	6	21:21	21
ტალიერესი	17	5	4	8	20:23	19
ოლდ ბოიზი	17	4	7	6	19:23	19
ბანფილდი	17	5	4	8	15:20	19
არსენალი	17	3	9	5	11:13	18
ინდეპენდიენტე	17	4	6	7	12:21	18
უნიონი	17	4	5	8	17:24	17
ჩაკარიტა	17	2	4	11	8:20	10
ურაკანი	17	1	3	13	12:43	6

ანდრეს დალესანდრომ ზღაპრული გოლი გაიტანა

შვედეთი

მე-11 ტური: ჰელსინგბორგი — ლანდსკრონა 2:2; ელფსბორგი — აიკ 2:0; გოტებორგი — სუნდსვალი 1:1; იურგორდენი — მალმიო 0:2

იურგორდენი	11	7	1	3	25:9	22
ჰამარბი	10	6	4	0	16:8	22
აიკ	11	6	2	3	20:13	20
იორგბრო	11	6	1	4	19:18	19
მალმიო	11	5	3	3	17:12	18
ჰელსინგბორგი	11	5	3	3	14:14	18
ელფსბორგი	11	4	4	3	14:17	16
ჰალმსტადი	10	4	2	4	15:14	14
იორგრიტე	11	4	2	5	14:19	14
გიოტებორგი	11	3	4	4	17:12	13
სუნდსვალი	11	2	4	5	11:15	10
ლანდსკრონა	11	2	4	5	12:17	10
იოსტერი	11	2	2	7	10:20	8
ენკოპინგი	11	1	2	8	10:26	5

ნორვეგია

მე-11 ტური: ბრანი — ბრანი 1:1

რუსენბორგი	11	9	2	0	30:7	29
სტაბეკი	11	5	4	2	19:13	19
ბოდიო გლიმტი	11	5	4	2	16:11	19
ვიკინგი	11	4	6	1	19:12	18
სოგნდალი	11	5	3	3	20:15	18
ოდ გრენლანდი	11	5	2	4	17:21	17
ლინი	11	4	3	4	16:19	15
ბრინი	11	4	1	6	21:18	13
ვოლერენგა	11	3	4	4	14:13	13
ლილესტრიომი	11	2	6	3	10:16	12
მოლდე	11	3	2	6	13:19	11
ალესუნდი	11	1	5	5	15:21	8
ბრანი	11	1	5	5	11:23	8
ტრომსიო	11	1	3	7	15:28	6



ტოლი ნახე, კოჭი გააგორეო

მოჯის სხვისი პრეზიდენტი შემოელანძღა



ლუჩანო მოჯიმ ფრანკო სენსიზე ისევები ილაპარაკა...

„რომა“ და „იუვენტუსი“ ერთმანეთს გადაეკიდნენ. მიზეზი: „კიევოს“ მოთამაშე ნიკოლა ლეგროტალიე, რომლის შეძენა ორივე გუნდს სურდა, მაგრამ ტურინელებმა იყოჩაღეს.

თავიდან კონკურენტი რომაელებმა გაკენწლეს, ფეხბურთელი, რომლის შეძენა ასე ძალიან გვსურდა, უსინდისოდ აგვაცალესო, რაზეც „იუვენტუსმა“ სატრანსფერო საქმეთა დიდოსტატის, კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ლუჩანო მოჯის პირით გასცა პასუხი.

„ამ საქმეში სიმართლე ის გახლავთ, რომ „რომამ“ „კიევო“ ისეთი დაპირებებით გაავსო, რომელთა შემსრულებელიც არ აღმოჩნდა. არადა, ამ კლუბს სერიოზული პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც ვალდებულია დროს უფრო მეტად თავისი გუნდის გაძლიერებაზე ხარჯავდეს, ვიდრე საფეხბურთო სამყაროსა და იქ არსებული წეს-კანონების ლანძღვაზე. დიდებულ ბიჭს ნაკლები ლაპარაკი და მეტი საქმე მოუხდებოდა“ — თქვა მოჯიმ.

აღსანიშნავია, რომ „რომა“ და „იუვენტუსი“ განსაკუთრებული სითბოთი ერთმანეთს არასდროს ეპყრობოდნენ. მათი ურთიერთობა გარდა სერია A-ს მატჩებისა სატრანსფერო დაპირისპირებებითაც არის გართულებული. და აღსანიშნავია, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე ასპარეზზე მეტწილად ტურინელები იმარჯვებენ.

„სანამ „იუვენტუსში“ ვმუშაობ, „რომას“ ფეხბურთელს ცოცხალი თავით არ მივყიდი“ — დასძინა მოჯიმ.

გარდა ამისა, მან უარყო ხმები, თითქოს დავიდ ტრეზეგე სადმე მიდის, ხოლო „ბებერი ქალბატონი“ „ბოლონიიდან“ არგენტინელ თავდამსხმელს, ხულიო კრუზს ეპატიჟება.

პაპუნა კედია

ადრიანოსთვის ადრიანია



ბრაზილიელი ადრიანო აცხადებს, რომ „პარმაში“ დარჩება და გუნდის ერთგულებას იგი, სულ მცირე, კიდევ ერთი წლით აპირებს. არადა, 21 წლის მოთამაშეზე ამბობდნენ, თითქოს იგი „ინტერში“ აპირებდა გადასვლას.

„კონტრაქტს „პარმასთან“ ვაგრძელებ, რადგან მწამს, რომ ამ გუნდში გატარებული კიდევ ერთი სეზონი ჩემს მომავალ კარიერას წაადგება“ — თქვა ზოგიერთების მიერ ლამის სენსაციად შერაცხულმა თავდამსხმელმა.

მეორე მხრივ „ინტერის“ წინადადება მართლაც მიმზიდველი გახლდათ, რადგან „შავ-ლურჯები“ ადრიანოს უმალ ძირითად შემადგენლობას სთავაზობდნენ, ვიდრე კრისტიან ვიერის ან ერნან კრესპოს სათადარიგოობას.

მოგეხსენებათ, ბრაზილიელი პარმაში ერთი წლის წინ ჩავიდა და ადრიან მუტუს ჩინებულად შეუწყვილდა. მან სეზონის განმავლობაში 15 გოლი შეაგდო. მუტუმ კი 18 გაიტანა.

პაპუნა კედია

რომა არსენალს უაროებს

ფლავიო რომა იტალიელი მეკარეა, რომელმაც ლონდონის „არსენალში“ გადასვლაზე უარი განაცხადა. იგი „მონაკოში“ თამაშობს და, როგორც კლუბის დირექტორმა, ანრი ბიანშერიმ განაცხადა, „მონაკოშივე“ დარჩება, რადგან ლონდონელთა წინადადებაში მიმზიდველი ვერაფერი ნახა.

„რომას „არსენალმა“ მართლაც შესთავაზა ლონდონში გადასვლა, მაგრამ ძეკარემ ჩვენთან ამჯობინა დარჩენა. იგივე ითქმის შაბანი ნონდაზეც, რომელიც თითქოს „ლიონში“ უნდა წასულიყო. მომავალ სეზონში ჩვენი ფეხბურთელები კვლავ „მონაკოში“ იქნებიან და, იმედი გვაქვს, უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ“.

„არსენალის“ პრობლემა კი ის გახლავთ, რომ მან ცნობილი მეკარე, დევიდ სიმენი „მანჩესტერ სიტის“ დაუთმო და ახლა, კარის ახალ მცველს ეძებს. „მეთოფეებმა“ უკვე სცადეს „მილანის“ სათადარიგო მეკარის, კრისტიან აბიატის დაბეკვება, მაგრამ აბიატიმ „შავ-წითლებთან“ 2008 წლამდე ამჯობინა კონტრაქტის გაგრძელება.

პაპუნა კედია

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

„ინტერი“ ჰოლანდიელ მცველთან, იაპ სტამთან აგვარებს საქმეს. სტამის აგენტმა დაადასტურა, რომ ყოფილი მანჩესტერელი ახლა რომის „ლაციოდანაც“ აპირებს წასვლას.

იაფი იაპი

იაპ სტამი შესაძლოა სერჟიუ კონსეისაუს თანაგუნდელი გახდეს

საქმე ის გახლავთ, რომ სტამმა რამდენიმე თვის წინ უარი თქვა „ლაციოსთან“ ახალ, ნაკლებხელფასიან თანამშრომლობაზე და ეს პოზიცია მტკიცედ დაიცვა. „ლაციოს“ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის, თავის მხრივ, ძალიან სურს ჰოლანდიელის შენარჩუნება, მაგრამ კლუბის ფინანსურ მდგომარეობას მწვრთნელი როგორ შეცვლის?

„მანჩინი იაპს ხშირად ურეკავდა და დაბეჯითებით თხოვდა დარჩენას, მაგრამ ფეხბურთელს თავისი სურვილები მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული. მას შემდეგი ორი წლის მანძილზე ფეხბურთის თამაში და ზურგსუკან მყარი გარანტია სურს“ — თქვა „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სტამის აგენტმა ვან გინკელმა.

აქამდე სტამზე ამბობდნენ, რომ „იუვენტუსში“ ან „მილანში“ გადავიდოდა, მაგრამ ბოლო დღეებში ყველაზე რეალურად „ინტერის“ ვარიანტმა წარმოაჩინა თავი. „შავ-ლურჯები“ 31 წლის ჰოლანდიელს უფრო იაფად შეიძენენ, ვიდრე ამსტერდამის „აიაქსელ“, რუმინელ კრისტიან კივუს.

ვან გინკელი: „მეტს ვერაფერს ვიტყვი. ამწუთას მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სტამი მანჩინის გუნდში აღარ იქნება.“

„იუვენტუსმა“ კი ამასწინათ „კიევოსგან“ ნიკოლა ლეგროტალიე იყიდა, ასე რომ, დაცვაში თითქოს აღარაფერი უნდა, ხოლო „მილანი“ კი დაჟინებით იმეორებს, რომ სტამის შეძენაზე არ ფიქრობს. ერთი სიტყვით, ისე ჩანს, რომ მცველი სექტემბრიდან მართლა „შავ-ლურჯ“ მაისურას მოირგებს.

პაპუნა კედია

ანკონა: მაცონე ან...



„ანკონა“ იმედოვნებს, რომ ვეტერანი მწვრთნელი კარლო მაცონე ჩაუდგება სათავეში. კვირას „ანკონამ“ არანაკლებ ცნობილი ჯიჯი სიმონი გაუშვა თანამდებობიდან და, ბუნებრივია, მისი შემცვლელი სჭირდება.

„მაცონეს სიამოვნებით ჩავაბარებდით გუნდს — ამბობს პრეზიდენტი ერმანო პიერონი — ვიცი, ძნელი იქნება, მაგრამ თუ დავითანხმე, თავს ბედნიერად ვიგრძნობ. ჯერჯერობით არ შევხვედრივარ, მაგრამ აუცილებლად შევეცდები ვესაუბრო“.

მაცონეს გარდა „ანკონას“ მომავალ მწვრთნელად შეიძლება ვიხილოთ „რევჯინას“ ყოფილი თავკაცი ლუიჯი დე კანიო და „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე რობერტო დონადონი, რომელიც გასულ სეზონში „ლივორნოს“ ედგა სათავეში.

პაპუნა კედია

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. XI ტური						
		25 ივნისი						
22.00	022	ჰალმსტადი-ჰამარბი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
		შვედეთი. XII ტური						
		29 ივნისი						
20.00	023	ლანდსკრონა-ელფსბორგი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		30 ივნისი						
22.00	024	იურგორდენი-ჰამარბი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.00	025	ენკიოპინგი-გიოტებორგი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
22.00	026	მალმიო-ჰელსინგბორგი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ნორვეგია. XII ტური						
		29 ივნისი						
21.00	029	ბრანი-ტრომსიო	1,7	3,6	4,2	1,15	1,21	1,93
21.00	030	რუსენბორგი-ბრინი	1,2	6,0	10,0	1	1,07	3,75
	031	რუსენბორგი-ბრინი 0:1	1,55	3,4	3,6			
21.00	032	ალესუნდი-სტაბეკი	3,2	3,4	2,05	1,64	1,24	1,27
21.00	033	ვიკინგი-მოლდე	1,7	3,6	4,2	1,15	1,21	1,93
21.00	034	სოგნდალი-ბოდიო გლიმტი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
21.00	035	ოდ გრენლანდი-ლილესტრომი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		30 ივნისი						
22.00	036	ლინი-ვოლერენგა	2,1	3,4	3,1	1,29	1,25	1,62
		ფინეთი. IX ტური						
		26 ივნისი						
20.30	039	კტპ-ჰაამეენლინა	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
20.30	040	მიუპა-ტამპერე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
20.30	041	ტურკუ-ლაჰტი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.30	042	იარო-ჰიკ	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.30	043	ჯაზი-ინტერი	2,35	3,3	2,5	1,37	1,21	1,42
21.00	044	იოკერიტი-კუოპიო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ესპანეთი. თასი. ფინალი						
		28 ივნისი						
24.00	055	მალიორკა-უელვა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		შვედეთი. თასი						
		26 ივნისი						
22.00	056	აიკ-იოსტერი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.30	057	მალმიო-იურგორდენი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი						
		25 ივნისი						
05.10	079	ბოკა ხუნიორსი-სანტოსი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
		კონფედერაციათა თასი						
		26 ივნისი						
21.00	080	კამერუნი-კოლუმბია	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
24.00	081	საფრანგეთი-თურქეთი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		კალათბურთი.საბერძნეთი						
		25 ივნისი						
22.00	604	აეკ-პანათინაიკოსი	1,7	12,0	1,9	1,48	1	1,64

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

				კი	არა
		26 ივნისი			
2301	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1,8		1,8
2302	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1,7		1,9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება ჩაითვლება)

		26 ივნისი		
2401	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1,8	2,0
2402	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1,45	2,8

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		26 ივნისი		
2201	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1,75	1,85
2202	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1,8	1,8

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
					26 ივნისი						
2101	21.00	კამერუნი-კოლუმბია	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	6,0	20,0	10,0	4,8
2102	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	2,1	12,0	25,0	3,3	4,6	10,0	20,0	10,0	9,0

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		26 ივნისი						
2001	21.00	კამერუნი-კოლუმბია	2.7	2.05	3.6			
2002	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	2.0	2.25	5.3			

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		26 ივნისი			
2501	21.00	კამერუნი-კოლუმბია	3.0	2.8	2.0
2502	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	3.0	2.8	2.0

უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფორმულა I. ევროპა (გერმანია). 28 ივნისი (12.00)

4001 გამარჯვებული		სამეული		ექვსეული		4002 შსწრ. ფრე	4301 გამარჯვებული ნუნდ	
მ.შუმახერი	1,7	4101	1,15	4201	1,1	1,8	ფერარი	1,4
ბარიჩელო	6,0	4102	1,7	4202	1,25	5,0	მაკლარენი	3,3
რაიკონენი	7,0	4103	1,8	4203	1,25	5,0	უილიამსი	4,6
მონტოია	7,0	4104	1,8	4204	1,3	5,0	რენო	12,0
კულტჰარდი	10,0	4105	2,6	4205	1,35	10,0	ზაუბერი	40,0
რ.შუმახერი	10,0	4106	2,3	4206	1,35	10,0	ბარ	40,0
ალონსო	17,0	4107	3,5	4207	1,35	17,0	ჯორდანი	50,0
ტრული	35,0	4108	6,0	4208	1,8	35,0	ტოიოტა	50,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,4	100,0	იაგუარი	50,0
ვილნევი	75,0	4110	15,0	4210	3,0	100,0	მინარდი	200,0
ფიზიკელა	75,0	4111	15,0	4211	3,0	100,0		
პანისი	75,0	4112	15,0	4212	3,0	100,0		
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	3,0	100,0		
ფრენცენი	100,0	4114	25,0	4214	3,0	100,0		
ჰაიდფელდი	100,0	4115	25,0	4215	3,0	100,0		
დი მატა	100,0	4116	25,0	4216	3,0	100,0		

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

სამ თბილისურ ბიშროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბრძოლის ველზე სამუშაო დრო გაგახანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30

კვირა 12.00-20.30

გუშინ, შეკრების მეორე დღეს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ორჯერად ვარჯიშზე გადავიდა. ივლისის ბოლომდე ბრაიკოვიჩის რჩეულნი დილით თერთმეტის, საღამოს კი შვიდის ნახევარზე მიაკითხავენ დიღმის ბაზას



ფოტო: დავითბურჭულაძისა

ბრაიკოვიჩის მგლის ყური და რკინის ხელი ნუ გვაწუხებთ, ჟურნალისტებო

გუშინ ნაკრებში მატებას ელოდნენ, პირიქით კი მოხდა: ირაკლი ხოშტარია დროულად გამოცხადდა დილის ვარჯიშზე, მაგრამ ნათესავი გარდამეცვალაო და ბრაიკოვიჩს დაეთხოვა. ხორვატი მწვრთნელის განკარგულებაში დარჩენილ 12 კალათბურთელს საათნახევრის განმავლობაში გვარიანი ჯაფა დაადგა, ვარჯიშები უწინდელზე მრავალფეროვანი და მომქანცველი იყო.

ორშაბთს ნაკრების კანდიდატებმა მითხრეს, ბრაიკოვიჩისეული ვარჯიშები დისციპლინით გამოირჩევაო, გუშინ კი თავად დავრწმუნდი ამაში. როგორც ვთქვით, დილის ვარჯიში 11-ის ნახევარზე იყო დანიშნული, მეც დროულად მისვლა, ვარჯიშამდე რამდენიმე კალათბურთელთან დალაპარაკება მინდოდა. დიღმის ბაზაზე რომ შევაბიჯე გაჭიმული 11-ის ნახევარი იყო, ვიფიქრე, მოვასწარი-მეთქი და კალათბურთელებს დავუწყე ძებნა. დერეფანში კაცის ჭაჭანება არ იყო, არც გასახდელიდან ისმოდა ხმა. დრაჟენ ბრაიკოვიჩის ოთახს მივადექი, მაგრამ არც იქ დამიხვდა ვინმე. ბოლოს დარბაზისკენ წავედი, მაგრამ არ მეგონა, თუ იქ ვინმეს ვნახავდი, სამარისებული სიჩუმე იდგა და იმიტომ.

შევაღე დარბაზის კარი და იქ არ დამხვდა ბრაიკოვიჩი თავისი შეგირდებითურთ? დავალება უკვე მიეცა და კალათბურთელები ის-ის იყო გახურებას იწყებდნენ. რკინისებური დისციპლინის ნიშნები მერეც ბლომად აღმოვაჩინე, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო: ბრაიკოვიჩისთვის ვარჯიშის 11-ის ნახევარზე დაწყება ნიშნავს, რომ 11-ის ნახევარზე სპორტული ფორმით მოედანზე უნდა იყო. მოგვიტევონ ბრაიკოვიჩის წინამორბედებმა, მაგრამ ასეთი პუნქტუალურობა ნაკრებისთვის აქამდე იშვიათად შეგვინიშნავს.

...ბრაიკოვიჩი ცენტრში იდგა და ხორვატულ-რუსულად განკარგულებებს იძლეოდა, მოედნის კიდეებზე ჩამწკრივებული ექვს-ექვსი კალათბურთელი კი მთელი მონდომებით ცდილობდა, გაქცეულიყო, გამოქცეულიყო, შემხტარიყო, დაბზრიალებულიყო და ა.შ. გვარიანად რომ გაიოფლნენ, ბრაიკოვიჩმა მაღლები — უგრეხელიძე, ბერძენიშვილი, მუშკუდიანი, ბაბიაშვილი და სანიკიძე — თავისთან, დარბაზში დაიტოვა, შედარებით დავლები — კეიდია, ტუღუში, ჟღენტი, ბადრიძე, ლოსაბერიძე, საყვარელიძე და ბეჟანიშვილი კი თავის თანაშემწე ზურაბ ტომარაძეს გადააბარა, სატრენაჟოროში მოქანცეო. ტომარაძე „დაბლებს“ ბარე დარბაზის ტოლ სატრენაჟოროში შეუძღვა და არც თავად დაუკლია ჰანტელებთან ჭიდილი. ბრაიკოვიჩს კი მაღლების ხუთეული ფარქვეშ ჩაემწკრივებინა და ნაირგვარ, ცენტრისთვის გამოსადეგ ილეთებს უჩვენებდა და შემდეგ მათ შესრულებას ითხოვდა. დაახლოებით, ნახევარ საათში ტომარაძემ გათანგული კალათბურთელები ისევ ბრაიკოვიჩს მიჰგვარა და ახლა, მაღლები წაიყვანა.

ბრაიკოვიჩმა „დაბლებს“ უფრო მეტი დრო დაუთმო და ყველაზე ხშირად სიტყვა „დიფენსს“, ჩვენს ენაზე „დაცვას“ იმეორებდა. „დიფენსს“ იშვიათად თუ მოაყოლებდა „გუდ“-ს, კარგიაო.

სწორედ ამ დროს, საქმიანობაში გართულმა ბრაიკოვიჩმა ისეთი რამ მოიმოქმედა, ვიფიქრე, ამ კაცს მგლის სმენა თუ აქვს-მეთქი. არც მთლად მოედნის ხაზთან მდგარი ჟურნალისტები ჩვენთვის ვმუსაიფობდით, ცხადია, კალათბურთზე. დარბაზი ბურთის ბაგბუგსა და წუღების წრიპინს გაეყრუებინა, ბრაიკოვიჩის ხმაც ისმოდა, „ნემო, ნემო“. სიტყვები არ იცვლებოდა და თანდათან ხორვატის ხმას სიმკაცრე ეპარებოდა. „ნემო, ნემო“ — ორიოდ წამში უკვე მხოლოდ ესლა ისმოდა დარბაზში. ახლაღა გავხედეთ ბრაიკოვიჩს, რომელიც შემოგვცქეროდა და ხელით გვანიშნებდა, პირი დაკუმეთო. ისეთ ხმაურში ნეტავ, როგორ გაიგო, ძალიან ხმადაბლა ვლაპარაკობდით...

მერე სკამები გამოიტანეს, ფარის წინ ჩაამწკრივეს და „დაბლები“ ზიგ-ზაგა დრიბლინგით მიიკვლევდნენ გზას სამწამიანისკენ. ცენტრბმაც გაიქნიეს ერთი-ორჯერ ხელი და მერე, მოედანსგარეთ, ფიცარნაგზე წამოკოტრიალდნენ თავის ვეება სხეულებით, ვარჯიშს მოთელვითვე ასრულებდნენ. ბრაიკოვიჩმა დასტვინა, დავამთავრეთო და მერეღა მოინახულა ბაზაზე კარგა ხნის წინ მისული ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი. ფეხმტკივანი ნაცვლიშვილი თბილისში ამ უქმეებზე ჩამოვიდა პორტუგალიიდან და გუშინ ბრაიკოვიჩის გასაცნობად ბაზაზე უფორმოდ მოვიდა.

ბრაიკოვიჩმა დარბაზში კიდევ რამდენიმე წუთს იტრიალა და თავის ოთახში შევიდა, სადაც ზაგრების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ვინმე ალეკო გორელიშვილს ესაუბრა. ამ კაცმა ხორვატულთან ერთად მასაჟისტობაც იცის და ნაკრების ხელმძღვანელობა ალბათ უყურადღებოდ არ დატოვებს. ყოველ შემთხვევაში, „დინამოში“ გორელიშვილი უკვე მიიღეს თარჯიმნად.

ბრაიკოვიჩსა და გორელიშვილის საუბარი ცოტა გაუგრძელდათ და ბაზიდან ისე წამოვედი, ვერ გავარკვიე, ის „ნემო, ნემო“ რას ნიშნავდა. ალბათ, გაჩუმდითო, ხორვატულად გვეუბნებოდა ჟურნალისტებს ბრაიკოვიჩი. უეჭველად ამას გვეტყოდა...

ირაკლი პერტაია



ფოტო: დავითბურჭულაძისა

ახოვანი და დაკაცებული დავით ბერძენიშვილი გულმოდგინედ ასრულებდა ნაკრების კაპიტნის მითითებებს. ვარჯიშის შემდეგ დაიჩივლა, ზედმეტი წონა მაქვს და ვცდილობ, გავხდეო. წონის მატება უქმობამ გამოიწვია. ნაკრების კანდიდატთაგან ბერძენიშვილი ერთადერთი ლეგიონერია, ვისმა გუნდმაც სეზონი პლეი ოფის დაწყებამდე, დაახლოებით ერთი თვის წინ დაასრულა. დათო თურქულ „თედ კოლეჯზეც“ გვესაუბრა, მის სავარაუდოდ მომავალ გუნდ „ბასკოზეც“ და, ცხადია, ნაკრებზეც...

ბერძენიშვილი ნაკრებში კონკურენტებს ნატრობს

— ვფიქრობ, თურქეთში გატარებული სეზონი უარყოფითად არ იმოქმედებს ჩემზე. პირიქით, საკმარისი გამოცდილება შევიძინე ღირსეულ მეტოეებთან ჭიდილში, „ულქერში“ და „ეფესში“ ხომ უმაღლესი კლასის კალათბურთელები თამაშობენ.

— ეს გუნდები არა მარტო თურქეთის, არამედ ევროგრანდებიც არიან. თქვენს „თედ კოლეჯზე“ რას გვეტყვით?

— რა უნდა ვთქვა, ლიგიდან გავარდით და ამით ყველაფერია ნათქვამი. ამის მიუხედავად, „თედ კოლეჯი“ ცუდი გუნდი არ არის. კლუბის უფროსები მწვრთნელების ცვლილებებს რომ არ გადაყოლოდნენ, ბოლო ადგილს ალბათ არ დავიკავებდით. თითქმის არც ერთი მატჩი არ წაგვიგია უიმედოდ, უმეტესად თანაბარ ბრძოლებს ვაგებდით, ოვერტაიმშიც არ გვწყალობდა ბედი.

— ოთხი მწვრთნელის გამოცვლა მართლაც ბევრია...

— ბევრია და სწორედ ამან დაასვა ჩვენს გუნდს დაღი, კლუბის თავკაცები ისე ცვლიდნენ მწვრთნელებს, თითქოს ახალი უმალვე მიაღწევდა შედეგს. ჰოდა, როცა ახალი მწვრთნელი გუნდს გაიცნობდა, მის ადგილზე სულ სხვა ინიშნებოდა.

— თქვენი. თამაშით კმაყოფილი ხართ? თურქეთში არაერთი ძლიერი მეტოქე გეყოლებოდათ...

— საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, თავი არ შემირცხვენია. ისე, მეც მწვრთნელებზე ვიყავი დამოკიდებული, ზოგს ათვალწუნებული ვყავდი, ზოგიც მენდობოდა. თავიდან უკრაინელი სპეციალისტი გვწვრთნიდა, რომელიც მენდობოდა და მეც ვუმართლებდი, მატჩში საშუალოდ 12-14 ქულას ვაკეთებდი. მომდევნო ორ მწვრთნელს რატომღაც თვალში არ მოვუვედი და იშვიათად მათამაშებდნენ. ყველაზე ღირსეული ბოლო თავკაცი იყო, „თედ კოლეჯმა“ მოგება დაიწყო, მაგრამ დრო აღარ გვეყო. სწორედ იმ მწვრთნელმა არ გამომიშვა ბათუმის „ბასკოში“. ჩემი თამაშის ამსახველი კასეტები ნახა და თებერვალში უკვე ბათუმში ჩამოსული ისევ ანკარაში დამაბრუნა.

— ახლაც „ბასკოში“ ხომ არ აპირებთ კარიერის გაგრძელებას?

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბასკოში“ ვითამაშებ. სხვა თუ არაფერი, ბათუმელებთან ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს „თედ კოლეჯში“ კი განათხოვრებული ვყავი. კიდევ ერთი წლით „ბასკოს“ ვეკუთვნი, უცხოური კლუბების ვარიანტებიც არ მაქვს და ბათუმში ვრჩები.

— ნაკრებზე რას იტყვით, ბრაიკოვიჩის ვარჯიშებზე...

— ჯერ აღრეა რამის თქმა, შედეგი რამდენიმე თვეში გამოჩნდება. მთავარი კი ისაა, რომ დიდი მონდომება იგრძნობა, უცხოელი მწვრთნელი, კარგი პირობები... ბრაიკოვიჩი ძლიერი სპეციალისტი ჩანს, დიდი არჩევანი აქვს და ალბათ კარგ გუნდსაც ჩამოაყალიბებს.

— თქვენდა სამწუხაროდ, ბრაიკოვიჩს დიდი არჩევანი აქვს ცენტრის პოზიციაზე...

— რატომ ჩემდა სამწუხაროდ, პირიქით, მე გამიხარდება, თუ ბევრი ძლიერი ცენტრი გვეყოლება. ჩემს პოზიციაზე 10-12 კანდიდატი რომ იქნება და ნაკრებში მაინც დამიძახებენ, ის უფრო არ აჯობებს? მოტივაცია ყველას უფრო დიდი ექნება, ღირსეულები შეირჩევიან და ნაკრებსაც ეშველება რამე...

ირაკლი პერტაია



ფოტო: დავითბურჭულაძისა

სტეფანიამ სიეტლს ფაჩულია ურჩია



ზაზა ფაჩულია სადრაფტოდ ემზადება

ხვალ ნიუ იორკის განთქმულ „მედისონ სკვერ გარდენში“ დრაფტია, ნბა-ს კლუბების საჯარო არჩევან-არადანი. „მედისონ სკვერი“ ის არენაა, ზუსტად ერთი წლის წინ ნიკოლოზ ცქიტიშვილის სახელმა რომ დაიჭექა, ყველასთვის უცნობი ქართველი „დენვერ ნაგიტსმა“ მე-5 ნომრად აირჩია. წლეულსაც ველით „მედისონ სკვერში“ ქართული გვარ-სახელის გამოცხადებას, მაგრამ ეს გამოცხადება, სავარაულოდ, ისეთი ეშხიანი და გაწელილი არ იქნება, როგორც შარშანდელი „სქი-ტი-სვი-ლი“ იყო.

ფაჩულია ამერიკაში ისეთი დიდი რეკლამით არ ჩასულა, როგორც ცქიტიშვილი, ნიკას არც ერთ გუნდთან არ უვარჯიშია და მაინც აირჩიეს მე-5 ნომრად. ზაზა ნიკასდარი მონაცემებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ნიჭი არ აკლია და რადგან თითქმის არავინ იცნობს, ცდილობს, ეს ნიჭი დრაფტისწინა ვარჯიშებზე გამოამზეუროს.

ფაჩულიამ უკვე ივარჯიშა ნიუ იორკში „ნიქსთან“ და ლოს ანჯელესში „ლეიკერსთან“. კალიფორნიიდან ზაზა ტეხასში გადაფრინდა და დევიდ რობინსონის წასვლის შემდეგ ნომინალური ცენტრის მაძიებელ „სან ანტონიოს“ დაენახვა. ზაზათი „სიეტლიშიც“ დაინტერესებულან და როგორც დედამისმა, ქალბატონმა გულიკომ გვითხრა, ამ საქმეში ვლადიმერ სტეფანიას ხელიც ურევია. სიეტლელებს სტეფანიასთვის უკითხავთ ფაჩულიას შესახებ და, რაღა თქმა უნდა, დადებითი დახასიათება მიულიათ.

გუშინ ფაჩულია „სიტელთან“ ივარჯიშებდა და ამით დრაფტისწინა ვარჯიშებს მორჩებოდა. მისი მომდევნო გაჩერება კი ნიუ იორკი და „მედისონ სკვერ გარდენია“.

ირაკლი პერტაია





„ფილადელფიამ“ მთავარ მწვრთნელად ლარი ბრაუნის (მარჯვნივ) ნაცვლად მისივე ასისტენტი რენდი აიერსი დაინიშნა

მწვრთნელობანა მორჩა

ამ უქმეებზე „ფილადელფია სიქსერზმა“ მწვრთნელად დაიქირავა ყოფილი თავკაცის ლარი ბრაუნის პირველი ასისტენტი რენდი აიერსი, რითაც ნბა-ში სამწვრთნელო ციებცხელება ფაქტობრივად დასრულდა. წლევანდელი რეგულარული სეზონის შემდეგ ერთბაშად შვიდმა გუნდმა შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. ზოგი მათგანი ჩქარობდა, რაკი დრაფტი ახლოვდებოდა და არ სურდა, კლუბში მოთამაშეთა ახალ ნაკადს უთავკაცოდ დახვედროდა. ზოგიც კარგა ხანს ელოდა სასურველი კანდიდატურის განთავისუფლებას. მაგალითად, „დეტროიტმა“ რიგიანი ახალგაზრდა მწვრთნელი რიკ კარლაილი გაადგო, „ფილადელფიიდან“ წამოსული გამოცდილი ლარი ბრაუნი რომ ჩაეგდო ხელში.

აი, ის შვიდეულიც, რომლებიც 26 ივნისის დრაფტს ახალი თავკაცებით შეხვდებიან:

კლივლენდი — *2 ივნისს დაითხოვა კიტ სმარტი და იმავე დღეს აიყვანა პოლ საილასი.*

დეტროიტი — *31 მაისს გაუშვა რიკ კარლაილი და 2 ივნისს აიყვანა ლარი ბარუნი.*

ჰიუსტონი — *23 მაისს გადამდგარი რუდი ტომიანოვიჩის ადგილზე 11 ივნისს დანიშნა ჯეფ ვან განდი.*

ნიუ ორლეანი — *4 მაისს ბოდიშის მოხდით შეუწყვიტა კონტრაქტი პოლ საილასს და 9 მაისს მის სკამზე ტიმ ფლოიდი დასვა.*

ფილადელფია — *26 მაისს დაკარგა ლარი ბარუნი და 20 ივნისს მის ადგილზე აღაზევა ასისტენტი რენდი აიერსი.*

ტორონტო — *17 აპრილს დაითხოვა ლენი ვილკენსი და 18 ივნისს აიყვანა კევინ ონეილი.*

ვაშინგტონი — *30 მაისს გაათავისუფლა დუგ კოლინზი და 18 ივნისს მიიწვია ედი ჯორდანი.*



ელდარ კურტანიძემ ლეკეთიდან ოქრო ჩამოიტანა

ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ დაღესტნიდან. მახაჩყალაში, შამილ უმახანოვის სახელობის მეხუთე საერთაშორისო ტურნირზე რუსეთის 10 რეგიონული ნაკრების გარდა 9 ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ

ჭიდაობა დაოსდა კურტანიძის ლეკური

დაღესტნის დედაქალაქში რიგიანად იჭიდავა მსოფლიოს ჩემპიონმა ელდარ კურტანიძემ. მისი უპირატესობა ოთხივე ორთაბრძოლაში აშკარა იყო. განსაკუთრებით, აღსანიშნავია მისი გამარჯვება რუსეთში პირველ თიგიევთან. თიგიევი წლეულს რიგაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო არ გამოსულა. ელდარი კი იქ მის შემცვლელ გაცალოვთან დამარცხდა. მახაჩყალაში ელდარმა თიგიევსაც და ყველა სხვა მეტოქესაც დაუმტკიცა, რომ რიგაში მისი დამარცხება მხოლოდ შემთხვევითობა.

მესამე ადგილები აიღეს 66 კგ წონაში შალვა მუზიაშვილმა 74 კგ-ში გელა საღირაშვილმა და 84 კგ-ში მალხაზ ჯორბენაძემ. საღირაშვილი და ჯორბენაძე ძმებ ლალიევებთან დამარცხდნენ. საღირაშვილის დამმარცხებელი უზბეკეთის სახელით გამოდიოდა, ჯორბენაძის — რუსეთის, ისე კი ორივენი ცხინვალელები არიან.

ტურნირზე თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მარლენ ოსიყმაშვილმა.

— ტურნირზე საქართველოს ნაკრები 11 მოჭიდავით იყო წარმოდგენილი. როგორ შეაფასებდით ერთ ოქროს და სამ ბრინჯაოს მედალს?

— შედეგით კმაყოფილები ვართ. შემადგენლობით ძალიან ძლიერი ტურნირი იყო. თურქეთისა და ბელარუსის ნაკრებების გარდა, აღსანიშნავია რუსეთის რეგიონალური ნაკრებები. როგორი ძნელიც იყო ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა, ისეა ახლა რუსეთისაში. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ნაკრების შემდეგ მეორე ადგილზე გავედით.

— ელდარ კურტანიძემ კი ამ გამარჯვებით დაამტკიცა, რომ ის ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით დამარცხდა, მაგრამ ასევე შემთხვევითი ხომ არ იყო რიგაში მინდორაშვილის გამარჯვება? მახაჩყალაში 84 კგ-ში მესამე ადგილზე ჯორბენაძე გავიდა, მინდორაშვილი კი უმედლოდ დარჩა.

— არა, რევაზმა მახაჩყალაში ტრავმა მიიღო. შეხვედრაც ტრავმირებულმა, ჯვარედინი მოვლების დროს შეცდომით დათმო. ელდარ კურტანიძე კი ცალკე თემაა. მან ამ ტურნირში შარშანაც გაიმარჯვა, მაყურებლები მას კარგად იცნობდნენ და ძალიან თბილად ხვდებოდნენ. ჩვენს გუნდზე ორი მიკროავტობუსი იყო გამოყოფილი, აქედან ერთი, შეიძლება ითქვას, მისთვის პერსონალურად. ელდარმა კარგად იჭიდავა. ევროპის ჩემპიონატზე თურქს თუ 2:0 მოუგო, აქ შვიდი ქულით დაამარცხა და რაც მთავარია, თიგიევსაც სძლია. ჩემი აზრით, ის ათენის ოლიმპიადის ნამდვილი ფავორტია.

— მახაჩყალაში არ უასპარეზია ალექსი მოდებაძეს. თქვენ მისი პირადი მწვრთნელი ხართ და, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღებით მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ დავით მუსულბესს აკვირდებოდით, რომელიც მოდებაძესავით მძიმე წონაში ჭიდაობს.

— ალექსის მცირე ტრავმა აქვს, სახიფათო არაფერია. ის უკვე ივლისში მიიღებს მონაწილეობას ვლადიკავკაზის ტურნირში. დავით მუსულბესი კი მართალია, ძალიან ძლიერია, მაგრამ დაუმარცხებელი არაა, რაც ამ ტურნირზეც გამოჩნდა. ჯვარედინი მოვლების დროს რაღაც შეეშალა. ასე რომ, ალექსის აქვს მისი დამარცხების შანსი.

— ჩვენს მწვრთნელებს უყვართ მარცხის მსაჯებზე გადაბრალება. დაღესტანში როგორი მსაჯობა იყო?

— ჰო, ხანდახან ვაჭარბებთ, მაგრამ ისინიც საკმაოდ ხშირად სცოდავენ. ამ ტურნირზეც გელა საღირაშვილს ნახევარფინალში გამარჯვება წაართვეს. საერთოდ მსაჯობა მაინც ნორმალური იყო.

— ჩვენი ნაკრები ლაიფციგის ტურნირზე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა. როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ეს ტურნირი უფრო წაადგება ჩვენს ნაკრებს?

— რა თქმა უნდა, დაღესტანის ტურნირი უფრო ძლიერია, თან ახლოა და მგზავრობაც იაფია. მინდა, გითხრათ, რომ ამ ტურნირზე 77 ათასდოლარიანი საპრიზო ფონდი იყო. ამას სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც თუ დავუმატებთ, იქაურების დანახარჯი 200 ათასამდეც უწევდა. ჩვენი ჭიდაობის ნაკრებების ბიუჯეტი ერთად არ იქნება ამდენი. დაღესტანში თუ შეუძლიათ იქაურ ბიზნესმენებს ჭიდაობაში ამდენი ფულის ჩადება, ჩვენებს რაღა სჭირთ? ქართველებს ვინმეზე ნაკლები მოჭიდავეები გვყავს თუ ჭიდაობა აღარ გვჭირდება? ამ ტურნირზე 14 კაცით წავედით, ორი მწვრთნელით, ერთი მსაჯით და 11 მოჭიდავით. ზოგ წონაში 2-3 კაცი გავიყვანეთ. სადმე სხვაგან რომ ჩატარდეს ასეთი ძლიერი ტურნირი, შევძლებთ ამდენი ახალგაზრდა მოჭიდავის გამოცდას?

ზოთა კოპალეიშვილი

უიმბლდონი 2003 საპრიზო 17 074 000 $



REUTERS ლონდონიდან

ივო კარლოვიჩს ლეიტონ ჰიუიტი თვალში ეპატარავა

წლევანდელი უიმბლდონობა უზორბესი სენსაციით დაიწყო — მსოფლიო რეიტინგსიის 203-ე საფეხურზე მდგომმა უსახელო ხორვატმა, 24 წლის ივო კარლოვიჩმა, რომელიც 2 მეტრისა და 8 სანტიმეტრის სიმაღლისაა და იმ დღეს კარიერის პირველი სა-ძირითადბადო სლემმატჩი ითამაშა, ტურნირიდან შარშანდელი ჩემპიონი, ამქრის ამჟამინდელი მეორმეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი აოტა.



დიდად ჭკუისსასწავლი ამბავი ჯიუტ დედიკოს ბიჭზე

რა შერჩა ჰიუიტს: ჰაი და ჰუი

უიმბლდონის 117-წლოვან ისტორიაში ეს მხოლოდ მეორედ მოხდა, ტიტულის დამცველი პირველსავე წრეში რომ დაჩოგნეს. ჰიუიტამდე ამგვარი გაუგებრობა 1966 წლის ჩემპიონ ესპანელ მანუელ სანტანას შეემთხვა — 1967-ში ის ტურნირის სტარტზე ამერიკელმა ჩარლი პასარელმა მოაშთო.

ჰუიტისა და კარლოვიჩის სენსაციურ მატჩზე ჩვენ „რამდენიმე ნაწილად" ვისაუბრებთ. თავდაპირველად საკუთრივ შეხვედრას შევეხებით, შემდეგ გამარჯვებულს წარგიდგენთ და მის ნამატჩევ მოსაზრებებსაც გავეცნობით. ამის მერე ხამს, 22 წლის ოზბიჭის მარცხსაც ჩავუღრმავდეთ და მისი მიზეზები განვიხილოთ, რასაც თავად ჰიუიტის მატჩისშემდგომი ინტერვიუც მოჰყვება.

მაშ, ჯერ შეხვედრისა ვთქვათ.

თავიდან ყველაფერი ჰიუიტისთვის წაღმად დაიწყო — აყლაყუდა ხორვატი, რომლის დარ გოლიათსაც, ერთ-ერთი სააგენტოს მიხედვით, უიმბლდონის ზურმუხტოვანი არასოდეს გაუჯეგავს, შესამჩნევად ნერვიულობდა. ეს არც არავის გაჰკვირვებია, რაკიღა ოლ ინგლანდ ქლაბის მთავარკორტს მასზე გაცილებით სახელიანი ხალხიც წაუხდენია. ამიტომაც იყო, ავსტრალიელმა პირველი სეტი 19 წუთში რომ მიითვალა.

ჩაფლავებულმა სეტმა ხორვატი დაამშვიდა და მომდევნოში მან უკვე იერიშზე გადასვლაც იკისრა. სეტმა თანაბრად ჩაიარა, თუმცა ჰიუიტი მატჩის სადავეებს ჯერ კიდევ ფლობდა და რამდენიმე ბრეიკბოინტიც რომ გამოიყენებინა, ეისებით წაგებულ ტაი-ბრეიკსაც აირიდებდა.

საბოლოოდ — საქმე სწორედ მის მიერ გამოუყენებელმა ბრეიკპოინტებმა და კარლოვიჩის ხათეუნა მოწოდებამ გადაწყვიტა. 13 „გამტეხი ქულიდან" ჰიუიტმა მხოლოდ 3-ის (და ისიც პირველ სეტში) განაღდება შეძლო, ხორვატმა კი 3 ბრეიკიდან ორი გაანაღდა, ზედ 18 ეისიც მიაყოლა და პირველი გათამაშებიდან 144 წუთის თავზე საარაკო გამარჯვებაც მოიმკა.

უკანასკნელ სეტებში ჰიუიტი — უსუსურის თქმა არ მინდა და — უფერული სანახავი იყო. აი, დაახლოებით ისეთი, როგორიც ორი კვირის წინ, სტელა არტუას მეოთხედფინალში, სადაც ის 3:6, 4:6 დამარცხდა სებასტიან გროჯანთან.

ივო კარლოვიჩი ნამატჩევს სწორედ ამ მატჩს იხსენებდა: „დიახ, მე ვნახე ეს შეხვედრა და ჰიუიტს იქ არაფერი განსაკუთრებული არ უჩვენებია. ასე რომ, მე მზად ვიყავი ამ გამარჯვებისთვის".

„თავიდან ძალზედ დავფრთხი — დასძენდა ხორვატი — მაგრამ მერე ნელ-ნელა დავშშვიდდი და უკეთ ავთამაშდი. ხოლო მოგებაც რომ შემეძლო, ამას მესამე სეტში მივხვდი. ამან კიდევ უფრო აღმაფრთოვანა და საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გამჭირვებია. შეიძლება, ოდნავ იღბალმაც მომხედა, მაგრამ ვერაფერს იზამ — ასეთია ცხოვრება".

ჰო, ცხოვრება მართლაც უცნაური რამეა. თორემ ვინ იფიქრებდა, რომ უკვე საჩოგბურთო „შუაასაკს" მიტანებული კაცი, ვისაც აქამდე მხოლოდ 10(!) საეიტიპიო მატჩი გაუმართავს, წლეულს კი ამ დონეზე სულაც ორჯერ უჩოგნავია, წლის უმთავრესი ტურნირის სტარტზევე შარშანდელ ჩემპიონსა და ერთ-ერთ შაბაშ ფავორიტს მოსრავდა.

ვერც ვერავინ. სწორედ ამიტომ ლონდონურ ტოტალიზატორებში მის ჩემპიონობაზე ერთი გირვანქის ჩამფსონავი კაცი მისი გაჩემპიონების შემთხვევაში ერთბაშად 500 გირვანქას მოხსნის. ოღონდ ერთში ხუთასს ბუკმეკერები უიმბლდონამდე იძლეოდნენ, ჰიუიტის ძლევის შემდეგ კი ივოს გაცილებით ნაკლები ფსონი „დაედება"...

ის ზაგრებელია, როგორც უკვე გაუწყეთ, მიწიდან 208 სანტიმეტრს აითვლის და სხვა თუ ვერაფრით, ამით მაინც ყველა ამჟამინდელ მეჩოგნეს აღემატება. სიმაღლისავე გამო კორტის მერე უსაყვარლეს ალაგად საკალათბურთო მოედანს მიიჩნევს და როცა ჩოგნით იღლება, მაშინ ფარით ერთობა ხოლმე. მისი კერპი, ცხადია, განთქმული ხორვატი მეჩოგნე, უიმბლდონის 2001 წლის ჩემპიონი გორან ივანიშევიჩია, რომლის ბოლოდროინდელ ტრავმიანობათა გამო ქვეყნის დევისღირსების დაცვას შიგადაშიგ სწორედ მას ანდობენ. „ის ყოველთვის ჩემი კერპი იყო — ამბობს კარლოვიჩი — მე მას როგორც ღმერთს, ისე ვეთაყვანები".

არავინ იცის, რა და როგორ მოხდება მეორე წრეში, მაგრამ ზაგრებელი მეტეოროლოგისა და აგროკულტურის ამაგდარი მუშაკის ეს ათლავაშა ვაჟი ამ დღეებში რომ მრავალი ხორვატისთვის თუნდაც დროებითი ღმერთის ფუნქციებს შეიძენს, აი, მაგას კი ზაგრებმდინარის, სავას წყალი არ გაუვა...

თუმც სავა-სავად, საქმეში ჩახედული ხალხი კი ამ დღეებში ჰიუიტის მარცხზე უფრო საუბრობს, უფრო სწორად — ამ მარცხის გამომწვევ მიზეზებზე.

მიზეზებად რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ.

მელბურნული გაზეთის, „THE AGE"-ის აზრით, „ჰიუიტის იმედგამაცრუებელი მარცხი ნიშნეულად წაება ორ რამეს — ეიტიპის მახვშთა წინააღმდეგ მის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის დეტალების გახმაურებასა და აგრეთვე იმას, რომ ანდრე აგასიმ ჰიუიტს ზედ უიმბლდონის წინ წაჰგვარა რეიტინგსიის პირველობა".

გაზეთი სავსებით მართალია, როცა ამ ფაქტებს ერთმანეთთან აკავშირებს. ოღონდ მთავარი ის კი არ არის, რომ ყოველივე ამან ავსტრალიელ მეჩოგნეს წინასაუიმბლდონო განწყობა შეუმღვრია, მთავარი ის არის, რომ მოვლენათა ამგვარად განვითარება თავად ჰიუიტმა არჩია.

განვმარტოთ:

ეიტიპელ მახვშვებთან ურთიერთობა ჰიუიტს შარშან აგვისტოში, ცინცინატურ მასტერსტურნირზე ESPN-ისთვის სავალდებულო ინტერვიუს არმიცემის შემდეგ წაემურდლა. ეიტიპიმ ის მაშინ 106 ათასი დოლარით დაჯარიმა, ხოლო მისი საჩივრის შემდეგ ჯარიმა 20 ათასამდე შეუმცირა.

ჰიუიტი არც შემცირებული თანხის გადახდას დაჰყაბულდა და კაცთა ჩოგბურთის მმართველ ორგანიზაციას სასამართლოში უჩივლა. თავისი „პროფესიული და პერსონალური რეპუტაციის შებღალვის" წილ ის ორგანიზაციისგან 1,68 მილიონ დოლარს ითხოვს.

ჰო, ეს დავა შარშანდელი აგვისტოდან მიმდინარეობს. შარშანდელი სეზონის მეორე ნახევრიდანვე დაიწყო ჰიუიტმა იმაზე ლაპარაკიც, რომ მას აღარაფრად უღირს ეიტიპის რეიტინგსიის პირველადგილოსნობა და რომ მომავალი სეზონიდან (ესე იგი — საწლევანდლოდ) მხოლოდ ბობოლა ტურნირებზე გამოვა.

ეიტიპისადმი თავისი ანტაგონიზმი ჰიუიტმა წლეულს იმითაც გააღრმავა, რომ აშკარად დაუჭირა მხარი მოჯანყე კაცმეჩოგნეთა მიერ მარტში დაარსებულ ორგანიზაციას, რომლის მიზანიც ეიტიპის ზოგიერთი ფუნქციის მითვისება იყო...

და რა მიიღო ჰიუიტმა ყოველივე ამის შედეგად?! ჩაფლავებული სამი სლემტურნირი, დაკარგული პირველმეჩოგნეობა და ამ მარცხის მერე — უკვე ზეხუთეულს მიღმა ჩასრიალებაც!

ის, რაც ამ დასტურ ნიჭიერსა და გაუტეხელ ავსტრალიელ ბიჭს წლეულს შეემთხვა, თითქმის ქრესტომათიული ამბავია და მისგან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველი — თუკი გსურს, დიდ გამარჯვებებს მიაღწიო, მთლიანად საქმეზე უნდა იყო მობილიზებული და წვრილმან, არაფრისმომცემ კინკლაობებში არ უნდა გაეხვე; მეორე — ვერასოდეს მიაღწევ დიდ გამარჯვებებს, თუკი პირველობა აღარაფრად მიგაჩნია — პირველი ვერ იქნები, მთელი წელი შლეგიანივით თუ არ იშრომებ, ხოლო შლეგიანივით ბოლომდე ვერ დაიხარჯები, როცა პირველობა აღარ გსურს და გგონია, სლემტიტულები ასე, ხოჩით მოგვრთმევა...

ივან ლენდლი ტურნირიდან ტურნირზე გადაფრენას ვერ ასწრებდა, პიტ სამპრასი კი ახლაც ჯოჯოხეთად იხსენებს იმ წლებს, როცა რეიტინგსიის კენწეროში იდგა. მაგრამ ვინ იქნებოდა ან ერთი, ან მეორე, ის ჯოჯოხეთი რომ არ გაევლოთ?!

უიმბლდონის 1958 წლის ავსტრალიელი ჩემპიონი ეშლი კუპერი თვლის, რომ ჰიუიტი რაც შეიძლება მალე უნდა დაშორდეს მშობლებს — ლენსა და შერილინს:

„ისინი სულ მასთან ერთად არიან — ვარჯიშებზეც კი. ასეთი სიტუაცია კი ბიჭის პიროვნულ სრულყოფას ხელს სულაც არ უწყობს. გულწრფელად ვისურვებდი, ოჯახთან დამაკავშირებელი ძაფები მოესუსტებინა და ნამდვილ, დამოუკიდებელ კაცად ქცეულიყო".

და კიდევ — ჰიუიტის საუიმბლდონო ჩაფლავებაზე მსჯელობისას არც იმის გაუთვალისწინებლობა ეგების, რომ სულ რაღაც ორი კვირაა, რაც ის თავის მწვრთნელს, ჯეისონ სტოლტენბერგს დაშორდა და მის ნაცვლად თანაადელაიდელ როჯერ რაშიდს უხმო.

— იცოდით თუ არა რამე კარლოვიჩის შესახებ? ნანახი გყავდით თუ არა?

— არა, მისი თამაში არასოდეს მინახავს. ერთადერთი ის ვიცოდი, რომ მძლავრი მოწოდება აქვს. ეგ იყო და ეგ.

— სტელა არტუაზე თქვენ ასევე გიჭირდათ დიკ ნორმანთან და კარლოვიჩი მასზე მაღალიც კია. რა, მაღალ მეჩოგნეებთან თამაშისას პრობლემები გაქვთ?

— მათი მოწოდების მოგერიება ყველასთვის პრობლემატური იქნება. ნორმანთან შეხვედრაში მოვახერხე, ჩემი შანსები გამომეყენებინა. დღეს კი იმავეს გაკეთება ველარ შევძელი. ჰო, ბევრი შანსი გავფლანგე, არადა, ბრეიკპოინტები მესამე სეტშიც მქონდა და მეოთხეშიც.

— თქვენ ის ხომ არ გთრგუნავდათ, რომ ტიტულის დამცველი იყავით?

— არა, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურად იყო. საერთოდ არ მინერვიულია. ვიცოდი, რომ მძიმე მატჩი მელოდა და ყველაფერი უნდა გამეღო მოსაგებად; თავიდან მატჩი ჩემთვის რიგიანად მიდიოდა და თავსაც საუცხოოდ ვგრძნობდი. არა, წნეხში ნაღდად არ ვყოფილვარ.

— გადამწყვეტ ქულებზე თქვენ საერთოდ უფრო მობილიზებული, თავდაჯერებული თამაშობთ ხოლმე. როლან გაროსზე და აქ კი თითქოს ყოყმანობდით, მერყეობდით...

— არა მაგონია. მე ყველაფერი ვაკეთე, რაც შემეძლო. მაგრამ ერთი-ორჯერ სულ რამდენიმე სანტიმეტრით ავაცილე. დანარჩენი ბრეიკპოინტების გამოყენება კი მისმა ეისებმა არ დამაცალა.

— როცა სამპრასმა ერთხელ ედბერგთან წააგო — ის ჯერ კიდევ ამომავალი ვარსკვლავი იყო — წაგების შემდეგ აღარ ეძინა. როგორ ფიქრობთ, თქვენც ასე გაინცდით ამ მარცხს?

— არ ვიცი, ყველა წაგება განსხვავებულია... თუმცა მე ალბათ მაინც დამეძინება.

— შეგიძლიათ, თქვენი წლევანდელი სეზონი შეაფასოთ?

— იცით, აქ წაგება დიდი იმედგაცრუებაა. თუმც იმავეს ვერ ვიტყვი როლან გაროსზე. ტომი რობრედოსთან პირველ ორ სეტში ისე ვითამაშე, როგორც თიხნარზე არასოდეს მითამაშია. მერე და — რობრედოც საუცხოო ფორმაში იყო — კუერტენსაც მოუგო. მეოთხედფინალში კოსტაც უნდა გაეგდო.

ადრესეზონში რამდენიმე ტურნირზე რიგიანად ვიჩოგნავე — სკოტსდეილსა და ინდიან უელსში ვიმარჯვე კიდეც. ვინმემ ეგებ ჩემი წლევანდელი სლემურთაობა უცუდესად შეაფასოს, მაგრამ არც მთლად ასეა, მე ვფიქრობ, რომ საშინლად არც ავსტრალიის ღია პირველობაზე, ელ აინაუისთან დავმარცხებულვარ.

— დარჩენილი თვეების განმავლობაში თქვენგან რას უნდა ველოდოთ?

— იმედია, ამ მარცხისგან ბევრს ვისწავლი. იმედი მაქვს, კიდევ შევძლებ ჩემი სიტყვის თქმას. საამისოდ აშშ-ის ღია პირველობაც მრჩება, ადგილი, სადაც პირველი სლემტიტული მოვიხვეჭე და უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კარგი შედეგები მაქვს. ჰო, უმთავრეს ფსონს ახლა სწორედ ამ სლემტურნირზე ჩავალ. შევეცდები, ეს მარცხი მალე დავივიწყო და მთლიანად ამერიკისთვის მზადებაზე გადავერთო.

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2003
ᲡᲐᲣᲠᲘᲖᲝ 17 074 000 $

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲦ ᲐᲠᲘᲡ?!

ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲙᲚᲐ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲐᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲛ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲣᲓᲠᲢᲕᲘᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ. ᲛᲐᲦᲐᲚ ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲘᲰᲧᲕᲐ ᲝᲠᲘᲝᲛᲔ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲘ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲑᲐᲚᲐᲮᲔᲜᲘ. ᲛᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲐᲚ ᲘᲧᲝᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲡ �გᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲒᲐᲡᲘ (2, ᲐᲨᲨ) — ᲯᲘᲛᲘ ᲓᲔᲚᲒᲐᲓᲝ (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) 6:4, 6:0, 5:7, 6:4; **ᲮᲣᲐᲜ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲘᲠᲔᲠᲝ** (3, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲟᲐᲜ ᲠᲔᲜᲔ-ᲚᲘᲡᲜᲐᲠᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:2, 6:1, 6:3; **ᲠᲣᲑᲔᲜ ᲡᲣᲓᲘᲠᲚᲘᲜᲒᲘ** (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) — ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲕᲔᲠᲙᲔᲠᲙᲘ (21, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 6:1; **ᲡᲘᲠᲘᲚ ᲡᲝᲚᲜᲘᲔ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲥᲡᲐᲕᲘᲔ ᲛᲐᲚᲘᲡᲘ (14, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) 6:4, 6:3, 6:2; **ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲠᲝᲮᲣᲡᲘ** (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ (7, ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 7:5, 7:6 (7:4), 6:3; **ᲛᲐᲠᲙ ᲤᲘᲚᲘᲞᲣᲡᲘᲡᲘ** (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) — ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲡᲐᲑᲐᲚᲔᲢᲐ (ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 6:3, 4:6, 6:3, 6:2; **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ** (6, ᲐᲠᲗᲔᲜᲢᲘᲜᲐ) — ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲐᲠ ᲕᲝᲚᲩᲙᲝᲕᲘ (ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ) 7:5, 6:4, 6:2; **ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲔᲘᲠᲐ** (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲗᲘ) — ᲣᲘᲜ ᲤᲘᲠᲔᲘᲠᲐ (28, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 6:1, 6:2, 6:4; **ᲐᲠᲜᲝ ᲚᲔᲛᲐᲜᲘ** (15, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲠᲝᲑᲘ ᲯᲘᲜᲯᲔᲠᲘ (ᲐᲨᲨ) 6:3, 4:6, 7:6 (7:2), 6:7 (3:7), 10:8; **ᲘᲣᲜᲔᲡ ᲔᲚ ᲐᲘᲜᲐᲣᲘ** (27, ᲛᲐᲠᲝᲙᲝ) — ᲛᲐᲠᲙ ᲰᲘᲚᲢᲝᲜᲘ (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) 6:3, 6:2, 6:4; **ᲗᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ** (10, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲢᲝᲛᲐᲡ ᲖᲘᲑᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 6:2, 7:6 (13:11), 3:6, 6:1; **ᲘᲠᲟᲘ ᲜᲝᲕᲐᲙᲘ** (11, ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) — ᲚᲣᲘᲡ ᲰᲝᲠᲜᲐ (�პᲔᲠᲣ) 3:6, 7:6 7:5, 6:1, 6:1; **ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲚᲔᲘᲙᲘ** (26, ᲐᲨᲨ) — ᲢᲝᲓ ᲚᲐᲠᲙᲘᲛᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 6:3, 6:1, 6:1; **ᲤᲘᲚᲘᲞ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲘ** (ᲙᲐᲜᲐᲓᲐ) — ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲛᲐᲜᲢᲘᲐ (22, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) 6:4, 7:6 (8:6), 4:6, 7:6 (7:3); **ᲘᲐᲠᲙᲝ ᲜᲘᲔᲛᲘᲜᲔᲜᲘ** (30, ᲤᲘᲜᲔᲗᲘ) — ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) 6:7 (8:10), 6:4, 4:6, 6:3, 6:3

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (1, ᲐᲨᲨ) — ᲯᲘᲚ ᲙᲠᲔᲘᲒᲘᲡᲘ (ᲐᲨᲨ) 6:3, 6:3; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲝᲙᲘᲩᲘᲩ** (11, ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) — ᲔᲚᲔᲜᲐ ᲑᲐᲚᲢᲐᲩᲐ (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) 6:3, 1:6, 6:4; **ᲫᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ** (3, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲯᲣᲚᲘᲐ ᲕᲐᲙᲣᲚᲔᲜᲙᲝ (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ) 7:5, 6:1; **ᲯᲔᲜᲘᲤᲔᲠ ᲙᲐᲞᲠᲘᲐᲢᲘ** (8, ᲐᲨᲨ) — ᲛᲘᲠᲘᲐᲛ ᲙᲐᲖᲐᲜᲝᲕᲐ (ᲩᲔᲩᲔᲗᲘ) 6:1, 6:3; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐ** (15, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲐᲜᲟᲔᲚᲘᲙᲐ ᲠᲝᲔᲨᲘ (�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) 6:2, 6:1; **ᲚᲐᲣᲠᲐ ᲒᲠᲐᲜᲕᲘᲚᲘ** (28, ᲐᲨᲨ) — ᲐᲚᲘᲜᲐ ᲟᲘᲓᲙᲝᲕᲐ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 6:1, 6:4; **ᲐᲜᲘᲙᲝ ᲙᲐᲞᲐᲠᲝᲡᲘ** (ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ) — ᲛᲔ�გᲐᲜ ᲨᲝᲜᲔᲡᲘ (19, ᲐᲨᲨ) 6:3, 6:2; **ᲐᲙᲘᲙᲝ ᲛᲝᲠᲘᲒᲐᲛᲘ** (ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ) — ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲜ ᲗᲐᲜᲐᲡᲣᲒᲐᲠᲘᲜᲘ (32, ᲤᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘ) 6:4, 6:3; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲚᲘᲮᲝᲕᲪᲔᲕᲐ** (31, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲚᲘ-ᲣᲝᲗᲔᲠᲡᲘ (ᲐᲨᲨ) 4:6, 6:2, 8:6; **ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ** (10, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲰᲔᲜᲠᲘᲔᲢᲐ ᲜᲐᲒᲘᲝᲕᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲗᲘ) 6:4, 3:0 ᲜᲐᲒᲘᲝᲕᲐᲛ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ; **ᲔᲛᲘᲚᲘ ᲚᲣᲐ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘ (26, ᲐᲨᲨ) 7:5, 7:6 (7:2); **ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ** (33, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲑᲘ ᲑᲘᲔᲚᲘᲙᲘ (ᲐᲨᲨ) 6:1, 6:3; **ᲔᲚᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲚᲘᲓᲣ** (14, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ) — ᲔᲚᲔᲜᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲘᲩᲘᲩ (ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ) 6:2, 6:2; **ᲚᲐᲘᲖᲐ ᲠᲔᲘᲛᲝᲜᲓᲘ** (23, ᲐᲨᲨ) — ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲔᲪᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:3, 6:3; **ᲛᲐᲠᲘ ᲰᲘᲠᲡᲘ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲔᲜᲡᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲚᲘ (ᲐᲨᲨ) 6:0, 6:0; **ᲙᲝᲜᲩᲘᲩᲘᲢᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲔᲡᲘ** (18, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲛᲘᲚᲐᲒᲠᲝᲡ ᲡᲔᲙᲣᲔᲠᲐ (ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ) 5:7, 7:5, 6:1



REUTERS ლონდონიდან

რუს მარია შარაპოვას ფეხებზე უფრო უყურებენ



მარკ ანდრე ფლერი



ერიკ სტაალი

ნატან ნორტონი

რა წყნარად მოხდა ყველაფერი...
დრაფტი იყო ისეთი მშვიდი, როგორც ჰურის მაღაზია

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲦᲘᲛᲦᲐᲛᲝ ᲓᲠᲐᲤᲢᲘ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲔᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ... ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ 21-22 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘᲝᲛᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲗᲐ „ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲖᲔ“, �პᲔᲠᲡᲠᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲔᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲰᲚ-ᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲐᲤᲢ-ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲖᲔ.

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲐᲤᲢᲘ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲢᲠᲘᲒᲝ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲛᲔᲢᲜᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲗᲝᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲚᲘᲐ. ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲗᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲣᲓᲠᲢᲕᲘᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ. ᲛᲐᲦᲐᲚ ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲘᲰᲧᲕᲐ ᲝᲠᲘᲝᲛᲔ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲘ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲑᲐᲚᲐᲮᲔᲜᲘ. ᲛᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲐᲚ ᲘᲧᲝᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲗ.

ᲬᲚᲔᲣᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲒᲐᲪᲕᲚᲔᲑᲖᲔ. ᲘᲐᲠᲝᲛᲘᲠ ᲘᲐᲒᲠᲘᲡ ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲡᲔᲑᲖᲔ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲛ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲥᲐᲜᲗᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘ�კᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲣᲢᲐᲜᲚᲐᲓ ᲪᲮᲔᲚᲝᲓᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲡᲥᲔᲚᲯᲘᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲡᲔᲑᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲛᲝᲨᲐᲚᲐ. ᲗᲣᲛᲪ ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠ �პᲔᲢ ᲥᲣᲘᲜᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ (ᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲡ ᲓᲠᲐᲤᲢᲖᲔ), ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ. „ᲗᲐᲜᲮᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ, ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲨᲔᲔᲚᲘᲝᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲜᲣ ᲔᲚᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲐᲛᲑᲔᲑᲔᲡ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐ ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲓ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚ ᲛᲔᲣᲙᲐᲠᲔ ᲛᲐᲠᲙ ᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲜᲓᲚ ᲣᲙᲕᲔ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲝᲚᲙᲘᲞᲔᲠᲘ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲚᲣᲝᲜᲒᲝ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ „ᲞᲐᲜᲗᲔᲠᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲜᲔᲜ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲔᲣᲥᲓᲐᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲓᲐᲚᲐᲜᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲘᲮᲔᲘᲠᲔᲡ — ᲖᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔ-3 ᲠᲐᲣᲜᲓᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲣᲚᲝᲪᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲡ. ᲐᲡᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲠᲙ ᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲚᲔᲠᲘ „ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲘ“.

„ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲨᲔᲕᲘᲛᲐᲢᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲛᲐ ᲙᲠᲔᲘᲒ ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲛᲐ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ 1984 ᲬᲚᲘᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲐᲠᲘᲝ ᲚᲔᲛᲘᲔ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲛᲞᲚᲣᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲚᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ — ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲭᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲗᲐᲕᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲛᲐᲜᲔᲠᲘᲗ ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲑᲠᲝᲓᲝᲡ ᲬᲐᲐᲒᲐᲕᲡ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲣᲜᲔᲓ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ — ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲛᲐ ᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ ᲘᲠᲩᲘᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲨᲔᲘᲒᲣᲚᲔᲡ. ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲙ ᲡᲢᲐᲐᲚᲘ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ. „ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗ“ — ᲔᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲑᲝᲡᲘᲡ ᲯᲘᲛ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲐ. ᲐᲛᲞᲚᲣᲗᲘᲗ ᲞᲚᲔᲘᲛᲔᲘᲙᲔᲠᲘ ᲡᲢᲐᲐᲚᲘ, ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲠᲝᲜ ᲤᲠᲔᲜᲡᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲠ-ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ.

ᲰᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐᲜ ᲜᲝᲠᲢᲝᲜᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲡ ᲔᲠᲒᲝ. ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲣᲚ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ 33 �გᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲜᲝᲠᲢᲝᲜᲛᲐ 111 ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ ᲬᲣᲗᲘᲪ ᲛᲘᲘᲗᲕᲐᲚᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲗ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲝᲠᲢᲝᲜᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ.

ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲣᲡᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐᲪ. ᲙᲚᲣᲑᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲟᲔᲠᲓᲔᲕᲘ, 18 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲣᲡᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲢᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲪᲡᲙᲐ-ᲨᲘ �გᲐᲘᲨᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲝ�გᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲑᲘᲭᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐ

REUTERS ალბერტოდან

REUTERS სერგ ჯოტიდან

მხედრები

ჰოლანდიასა და გერმანიის საზღვარზე ამოზრდილ კოხტა ქალაქ აახენში ცხენოსანთა დიდი შეჯიბრი გახურებულა და ფრანგი მხედარი მიშელ რობერი თავის გალეტ დსოზაზე შემომჯდარი დაბრკოლებათა გადალახვაში ჩაუქობს. საერთოდ კი, მხედარი მხედარია და გინდ რკინის ცხენზე იჯდეს, მაინც ეხერხება ამ ცხენის ხტუნება. აი, ასეთია ბელგიელი სტეფან ევერტსი, რომელმაც სწორედ რომ გუშინ მოიგო მოტოკროსის დიდი პრიზი ავსტრიის ადგილ სენტ ვაიტში.



REUTERS გაშინტონიდან

პრეზიდენტი მდელოზე

ჯორჯ ბუშმა მოიცალა და თეთრი სახლის სამხრეთ მდელოზე გავიდა, სადაც ამერიკის ჰიმნს უკრავდნენ. ჰიმნს ტყუილად არ უკრავდნენ, მდელოზე თავი მოეყარათ ნორჩთა ლიგის ბეისბოლისტებს, რომლებმაც გვარიანი თამაშიც გაახურეს.

REUTERS კანკუნერიდან

ილეთი

კანადაში გახურებულა ამერიკული ბურთაობის იქაური ჩემპიონატი. ფოტოზე აღბეჭდილი ილეთი ამ თამაშისთვის ივიყვა, რაც ევროპული ფეხბურთისთვის ფეხებში ვარდნით ბურთის ართმევა. ვინიპეგელი კუთხის მცველი პაროლდ ნეში ბრითიშქოლამბიელ შორს მიქცევ რომ ტარნერს აჩერებს.

პოში ტოკიოში

დევიდ ბექემი მადრიდის „რეალში“ გადავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ტოკიოშია, სადაც თავის სარეკლამო აზიურ ტურნეში ჩაბმულა. ცხადია, იქავეა ბექჩის მეულლე, ვიქტორია პოშ ადამსი, რომელიც ქმრის ტოლსწორად ჩანს იაპონურ რეკლამებში და ავტოგრაფებსაც არანაკლები გაქანებით არიგებს, ამჯერად, ტოკიოს ახალგახსნილ ძვირფასეულობის მაღაზიაში.

REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფეიდლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიანელი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მიქაელ კვარტალიანი, პაატა კვარტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი თარგამაძე, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge